


უხერხემლო ცხოველების მრავალფეროვნების მოდელირება და მონაცემთა
ბაზის განვითარება კავკასიის ეკონომიკური განვითარების

გიორგი ჩალაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე სიცოცხლის
შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა
სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით თარხნიშვილი,
ბიოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და
საინჟინრო ფაკულტეტის დეკანს,

პროფესორ დავით თარხნიშვილს,

ამავე ფაკულტეტის დოქტორანტის

გიორგი ჩალაძეს

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის (უხერხემლო ცხოველების
მრავალფეროვნების მოდელირება და მონაცემთა ბაზის განვითარება კავკასიის
კორეგიონისთვის) ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ
ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ,
გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში
არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ჩალაძე

06/03/2015

სარჩევი

განაცხადი	2
სარჩევი	1
სურათების ჩამონათვალი.....	7
ცხრილების ჩამონათვალი	12
აბრევიატურების ჩამონათვალი	14
აბსტრაქტი	15
საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა	15
ჭიანველების ბიომრავალფეროვნების მოდელი საქართველოსთვის.....	15
ობობების ბიომრავალფეროვნების მოდელი კავკასიის ეკორეგიონისთვის	16
პტეროსტიხუს ანთრაცინუსის (<i>Pterostichus anthracinus</i>) კლიმატური მიკრორეფუგიუმი	16
<i>Carabus armeniacus</i> -ის სხეულის ზომის და პროპორციის ცვალებადობა ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით	17
<i>Noterus crassicornis</i> (O. F. Muller, 1776) -ახალი სახეობა საქართველოს ფაუნისათვის (Coleoptera, Noteridae)	17
ჩრდილო პალეარქტიკული სახეობათა კომპლექსის <i>Pterostichus nigrita</i> (Paykull) რევიზია, ახალი სახეობის აღწერა ესპანეთიდან და ახალი ქვესახეობა <i>P. nigrita</i> sp. n. ანატოლიიდან	18

Abstract.....	19
Georgian biodiversity database	19
Climate-based model of spatial pattern of the species richness of ants in Georgia	19
A spider diversity model for the Caucasus Ecoregion	19
Microrefugium of <i>Pterostichus anthracinus</i>	20
Body size and proportion variation of <i>Carabus armeniacus</i> by elevation gradient	20
<i>Noterus crassicornis</i> (O. F. Muller, 1776) - new species for Georgian fauna (Coleoptera, Noteridae).....	21
The western Palaearctic species of the <i>Pterostichus nigrita</i> (Paykull) complex, with the description of a new species from Spain and a new subspecies of <i>P. nigrita</i> from Anatolia (Coleoptera, Carabidae)	21
სადოქტორო სამუშაოების დროს გამოქვეყნებული პუბლიკაციები:.....	22
მადლობა	24
შესავალი	25
ბიომრავალფეროვნება და მისი განაწილება	25
კავკასიის ეკორეგიონი	27
უხერხემლოების ბიომრავალფეროვნება და კლიმატი	28
უხერხემლოების შესწავლის მდგომარეობა საქართველოში	29
უხერხემლოთა ბიომრავალფეროვნების საფრთხეები	30
კონსერვაცია	32

გამოყენებული ლიტერატურა.....	33
საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა	38
შესავალი.....	39
მასალა და მეთოდები	40
პროგრამირების ენა.....	40
მონაცემთა ბაზის სტრუქტურა.....	40
ტაქსონომიური იერარქია.....	42
ტექსტური რედაქტორი	44
ვიზიტორების მთვლელი	44
დაფინანსების წყაროები	44
ინფორმაციის წყაროები	45
გეორეფერირება.....	48
სახეობების იდენტიფიკაცია.....	48
ვებ გვერდის ძირითადი მონაცემები	51
ტაქსონის გვერდი.....	51
კავშირი სხვა მონაცემთა ბაზებთან	53
ქვეპროექტები	54
შედეგები.....	57
ვიზიტორების სტატისტიკა.....	58

გამოყენებული ლიტერატურა.....	60
ჭიანველების ბიომრავალფეროვნების მოდელი საქართველოსთვის	64
შესავალი.....	65
მასალა და მეთოდიკა.....	66
საკვლევი ტერიტორია.....	66
ინდივიდუალური მოდელების კომპიუტერული პროგრამა და ალგორითმი	66
ინდივიდუალური მოდელების სიზუსტის შეფასება	67
კლიმატური შრეები	67
შედეგები.....	68
დისკუსია.....	70
გამოყენებული ლიტერატურა.....	76
ობობების ბიომრავალფეროვნების მოდელი კავკასიის ეკორეგიონისთვის.....	82
შესავალი.....	83
მასალა და მეთოდიკა.....	84
საკვლევი ტერიტორია.....	84
მასალა	84
მოდელირება და სტატისტიკური ანალიზი	85
შედეგები.....	87
სრული სახეობრივი მრავალფეროვნება	87

ენდემური სახეობები	90
დისკუსია.....	93
გამოყენებული ლიტერატურა.....	95
პტეროსტიხუს ანთრაცინუსის (<i>Pterostichus anthracinus</i>) კლიმატური მიკრორეფუგიუმი	105
შესავალი.....	106
მასალა და მეთოდიკა.....	107
შედეგები.....	109
დისკუსია.....	111
გამოყენებული ლიტერატურა.....	113
<i>Carabus armeniacus</i> -ის სხეულის ზომის და პროპორციის ცვალებადობა ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით.....	116
შესავალი.....	117
მასალა და მეთოდიკა.....	118
შედეგები და დისკუსია	121
გამოყენებული ლიტერატურა.....	124
<i>Noterus crassicornis</i> (O. F. Muller), 1776 –ახალი სახეობა საქართველოს ფაუნისათვის (Coleoptera, Noteridae).....	125
მასალა და მეთოდიკა.....	125
გამოყენებული ლიტერატურა.....	127

ჩრდილო პალეარქტიკული სახეობათა კომპლექსის <i>Pterostichus nigrita</i> (Paykull) რევიზია, ახალი სახეობის აღწერა ესპანეთიდან და ახალი ქვესახეობა <i>P. nigrita</i> sp. n. ანატოლიიდან.	128
გამოყენებული ლიტერატურა.....	132
დასკვნითი დისკუსია: მეთოდოლოგიური პრობლემები ენტომოლოგიურ კვლევებში	133
სახეობა და მისი განსაზღვრის პრობლემა	133
გეოგრაფიული მონაცემები და მათი ცდომილება	133
გავრცელების მოდელები და მათი ცდომილება.....	135
ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა/ეროვნული პარკები	136
მწერების კონსერვაცია და ეთიკა.....	137
გამოყენებული ლიტერატურა	138
დანართები.....	141

სურათების ჩამონათვალი

სურათი 1. დედამიწაზე არსებული აღწერილი სახეობების რაოდენობის განაწილება Chapman-ის (2009) მიხედვით	25
სურათი 2. ცხოველთა ძირითადი ჯგუფები (ხმელეთის და მტკნარი წყლების ფაუნა) და მათი სახეობების რაოდენობა საქართველოში Eliava <i>et al.</i> 2007 მიხედვით.	26
სურათი 3. საქართველოს ფაუნის მწერების ბიომრავალფეროვნება რიგების მიხედვით (Eliava <i>et al.</i> 2007 მიხედვით).....	27
სურათი 4. MySQL მონაცმთა ბაზის სქემატური გამოსახულება. ლურჯად აღნიშნულია MySQL მონაცემთა ბაზის ცხრილები, ნაცრისფრად აღნიშნულია სერვერზე არსებული ფაილები. ცხრილების დამაკავშირებელ უნიკალურ სვეტს წარმოადგენს სახეობა (ბინომენი).	41
სურათი 5. ტაქსონომიური იერარქია Cyprinus -ის სახეობებისათვის: MySQL მონაცემთა ბაზაში და ვებგვერდზე გამოტანილი ინფორმაცია.	42
სურათი 6. TinyMCE-ს ტექსტური რედაქტორის მენიუს პანელი.	44
სურათი 7. ენდოფალუსის პრეპარატის დასამზადებელი შპრიცის ნემსი დამუშავებამდე, დამუშავების პროცესში და მის შემდეგ.....	49
სურათი 8. პტეროსტიხუსის ენდოფალუსის პრეპარატი, რომელიც დამაგრებულია ქინძსთავზე დაფიქსირებულ მუყაოს ქაღადლდზე.....	50
სურათი 9. <i>Ixodes ricinus</i> -ის რეგისტრაციის წერტილები დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანების მონაცემთა ბაზიდან (Chaladze & Shavadze, 2013).	55
სურათი 10. <i>Omophron limbatum</i> -ის გვერდი, ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ქვეპროექტის წითელი ნუსხის ნაწილი.	56

სურათი 11. მონაცემთა ბაზის ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე Google Analytics-ის მიხედვით.	59
სურათი 12. საკლევი ტერიტორია და კვლევაში გამოყენებული ჭიანჭველების გავრცელების წერტილები.	66
სურათი 13. ჭიანჭველების სახეობრივი მრავალფეროვნების განაწილება სიმაღლის მიხედვით.....	69
სურათი 14. ჭიანჭველების სახეობების რაოდენობის დამოკიდებულება ნიადაგის ტენიანობის ინდექსზე.	72
სურათი 15. a. ჭიანჭველების მოდელირებული სახეობრივი მრავალფეროვნება. ღია ფერი მიუთითებს მაღალ მრავალფეროვნებას, მუქი ფერები დაბალ მრავალფეროვნებას. b. ჭიანჭველებისთვის ოპტიმალური სიმაღლის განაწილება სივრცეში, ღია ფერი მუთითებს ოპტიმალურ სიმაღლეს (800-1200 მ.), მუქი ფერები მიუთითებს გადახრას ოპტიმალური სიმაღლიდან. 1, 3 არახელსაყრელი კლიმატური პირობები; 2 ლიხის ქედი; 4, 5, 7, 8 ხელსაყრელი კლიმატური პირობები გარშემორტყმული არახელსაყრელი პირობებით; 6 ოპტიმალური პირობების ცენტრალური ნაწილი, ჯვარედინი ქსელით ნაჩვენებია ყველაზე მაღალი მრავალფეროვნების არეები.	75
სურათი 16. საკლევი ტერიტორია და კვლევაში გამოყენებული ობობების გავრცელების წერტილები.	85
სურათი 17. ობობების სახეობრივი მრავალფეროვნების სივრცობრივი განაწილება კავკასიის ეკორეგიონში.....	87
სურათი 18. სახეობრივი მრავალფეროვნების განაწილება სიმაღლის მიხედვით.....	88
სურათი 19. ენდემური ობობების სახეობრივი მრავალფეროვნების განაწილება კავკასიის ეკრეგიონში.....	91

სურათი 20. ენდემური სახეობების პროპორციის დამოკიდებულება ზღვის დონიდან სიმაღლეზე.....	92
სურათი 21. ტერიტორია სადაც ობობების ენდემური სახეობების წილი ათ პროცენტზე მეტია.....	92
სურათი 22. ნაკელის გროვა, დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხევშა.	107
სურათი 23. <i>P. anthracinus</i> -ის რეგისტრაციის წერტილების განაწილება სიმაღლის მიხედვით.....	109
სურათი 24. <i>P. anthracinus</i> -ის გავრცელების GARP მოდელი (AUC = 0.94).	110
სურათი 25. კრიპტოფილური ორეოპლატისმას სახეობების ტიპიური ჰაბიტატი. დუშეთის მუნიციპალიტეტი. სოფ. ხევშა. 12 ივლისი 2011.....	112
სურათი 26. ნიადაგის ხაფანგების მდებარეობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში.	119
სურათი 27. <i>Carabus septemcarinatus</i> მდედრი და მამრი: მამრის წინა თათის პირველი ოთხი სეგმენტი მნიშვნელოვნად განიერია ვიდრე მდედრის.	120
სურათი 28. <i>Carabus armeniacus</i> -ის მამრების (a) სხეულის ზომის და (b) პროპორციის (Ewmax/L) დამოკიდებულება სიმაღლეზე.	122
სურათი 29. <i>Carabus armeniacus</i> -ის მდედრების (a) სხეულის ზომის და (b) პროპორციის (Ewmax/L) დამოკიდებულება სიმაღლეზე.....	122
სურათი 30. <i>N. crassicornis</i> -ის რეგისტრაციის წერტილი, მდ. თიქორი, ანაკლია.	126
სურათი 31. <i>N. Crassicornis</i> , მამრი	126
სურათი 32. <i>Noterus</i> -ის მამრების ულვაშების ფორმა, რიცხვები აღნიშნავს სეგმენტის ნომერს.. a. <i>N. crassicornis</i> b. <i>N. clavicornis</i>	127

სურათი 33. <i>P. nigrita pontonigrita</i> -ს ტიპური მასალის რეგისტრაციის წერტილები. ყვითლად აღნიშნულია ჰოლოტიპის რეგისტრაციის წერტილი, წითლად - პარატიპების რეგისტრაციის წერტილები.....	129
სურათი 34. გადმობრუნებული ენდოფალუსი. ზევით: <i>P. fuscicornis</i> საქართველო, ნადიბანი, N 42.41576, E 44.60407, ქვევით: <i>P. nigrita pontonigrita</i> , პარატიპი, დემირკაფი, რიზე, თურქეთი N 40.558333, E40.405556°	130
სურათი 35. a. <i>P. anthracinus</i> , მამრი, საქართველო, სოფ. ხევშა. b. <i>P. fuscicornis</i> მდედრი, საქართველო, ბაკურიანი. c. <i>P. nigrita pontonigrita</i> , მამრი, თურქეთი, დემირკაფი.	131
სურათი 36. ზევით: მარჯვენა პარამერა, ქვევით: მამრის ანალური სტერნიტი. a., d. <i>P. Anthracinus</i> ; b, e. <i>P. fuscicornis</i> ; c., f. <i>P. nigrita pontonigrita</i>	132
სურათი 37. რეგისტრაციის წერტილის სიზუსტე და მასთან დაკავშირებული გეოგრაფიული შრის მარცვლის ზომის შემცირება მოდელირებისას.	134
სურათი 38. რეგისტრაციის წერტილების რაოდენობა კავკასიის ობობების მონაცემთა ბაზიდან.....	135
სურათი 39. ფორმიკა ცინერეას (<i>Formica cinerea</i>) რეგისტრაციის წერტილები საქართველოში. (სურათი აღებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზიდან: http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Formica%20cinerea , წვდომის თარიღი: 18.06.2013).....	141
სურათი 40. მწვანე გომბეშოს (<i>Bufo viridis</i>) რეგისტრაციის წერტილები GBIF-ის მონაცემთა ბაზაში. (სურათი აღებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზიდან: http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Bufo%20viridis , წვდომის თარიღი: 18.06.2013)	142

სურათი 41. <i>Culex mimeticus</i> რეგისტრაციის წერტილები საქართველოში. (სურათი აღებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზიდან: http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Culex%20mimeticus , წვდომის თარიღი: 18.06.2013).....	143
სურათი 42. წითელი ნუსხის სახეობის მწერები.	144
სურათი 43. ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში ავტორის მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი ფოტო. 1. <i>Gyrinus substrriatus</i> (Gyrinidae, Coleoptera); 2. <i>Aquilegia caucasica</i> , კავკასიური წყალიკრეფია (Ranunculaceae); 3. <i>Phyllodromica polita</i> (Blattodea) მდედრი და მამრი (შავი ზედა ფრთებით); 4. <i>Scarites salinus</i> (Coleoptera, Carabidae) ჭამს ტარაკანს; 5. <i>Cyprus aeneus</i> ჭამს ლოკოკინას; 6. <i>Testudo graeca</i> - ხმელთაშუაზღვეთის კუ.	145
სურათი 44. ობობების ოპტიმალური კლიმატური გარემოს მოდელები: 1. <i>Cyrba algerina</i> -ს მოდელირებული გავრცელება; 2. <i>Alopecosa charitonovi</i> -ს მოდელირებული გავრცელება; 3. <i>Dysderella caspica</i> -ს მოდელირებული გავრცელება; 4. <i>Mangora acalypha</i> -ს მოდელირებული გავრცელება.....	149

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. PHP სკრიპტი რომლითაც ხდება ტაქსონომიური იერარქიის ვებგვერდზე გამოტანა.....	43
ცხრილი 2. საველე გასვლებით მოპოვებული ძირითადი ჯგუფები და შეგროვების მეთოდიკა.....	46
ცხრილი 3. ძირითადი ტაქსონები და გამოყენებული წყაროები	47
ცხრილი 6. საშუალო წლიური ნალექები (მმ), წლიური ტემპერატურა (°C) და სახეობების რაოდენობა. მუქი ტონები მიუთითებს მაღალ სახეობრივ მრავალფეროვნებას, ციფრები მიუთითებს სახეობების რაოდენობას.	71
ცხრილი 7. რეგრესიული ანალიზის შედეგები და კორელაცია ინდივილუალური ცვლადებთან.....	89
ცხრილი 8. კლიმატური პარამეტრები <i>P.anthracinus</i> -ის რეგისტრაციის წერტილებისთვის და საკვლევ ტერიტორიაზე.	110
ცხრილი 9. ნიადაგის ხაფანგების მდებარეობა და ჰაბიტატები.	118
ცხრილი 10. კვლევაში გამოყენებული <i>Carabus armeniacus</i> -ის სხეულის პარამეტრები	121
ცხრილი 4. საქართველოში რეგისტრირებული და ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი ცხოველების ძირითადი ჯგუფების სახოებების რაოდენობა.....	146
ცხრილი 5. საქართველოში რეგისტრირებული და ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი მცენარეების ძირითადი ოჯახების სახოებების რაოდენობა.....	147

ცხრილი 11. საძიებო სიტყვა რომლის მეშვეობითაც ვიზიტორები ხვდებოდნენ საძიებო სისტემებიდან ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის გვერდზე. მოყვანილია 9420 საძიებო ფრაზიდან 50 ყველაზე გავრცელებული.....	148
ცხრილი 12. <i>Carabus armeniacus</i> -ის სხეულის განაზომები, სიმაღლე ზღვის დონიდან და ჰაბიტატის კლიმატური პარამეტრები.....	150

აბრევიატურების ჩამონათვალი

გ. - გეტრი

მმ. - მილიმეტრი

მლ. - მილილიტრი

ს.წ.დ. - სიმაღლე ზღვის დონიდან

კორ. კოეფ. - კორელაციის კოეფიციენტი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება კავკასიის ეკორეგიონის უხერხემლოების ბიომრავალფეროვნების შესწავლას და ელექტრონული მონაცემთა ბაზის განვითარებას. კვლევის ძირითად ობიექტებს წარმოადგენდნენ ბზუალა ხოჭოები (Coleoptera, Carabidae), ჭიანჭველები (Hymenoptera, Formicidae) და ობობები (Araneae).

საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა

ბიომრავალფეროვნების ინტენსიური კვლევის შედეგად განსაკუთრებულად მნიშნელოვანი გახდა ინფორმაციის ერთიან მონაცემთა ბაზაში თავმოყრა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში შეიქმნა მრავალი ეროვნული თუ საერთაშორის ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა. კვლევაში მოცემულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის (www.biodiversity-georgia.net), განვითარება, მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და პროგრამირების დეტალები. მოყვანილია ძირითადი სტატისტიკა ვიზიტორების და მათი ინტერესების შესახებ.

ჭიანჭველების ბიომრავალფეროვნების მოდელი საქართველოსთვის

კვლევაში მოდელირებულა საქართველოს ჭიანჭველების სახეობების მრავალფეროვნების სივრცული განაწილება, ნაჩვენებია ტერიტორები ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით. კვლევაში გამოყენებული იყო მონაცემები ჭიანჭველების 63 სახეობის გავრცელების შესახებ, რომელიც რეგისტრირებული იყო 253 გეოგრაფიულ წერტილში. ჯამში კვლევაში გამოყენებული იყო 2018 სახეობა/რეგისტრაციის წერტილი. სახეობების მრავალფეროვნება დადებითად იყო კორელირებული ტემპერატურასთან დაკავშირებულ ცვლადებთან და უარყოფითად ტენიანობასთან ასოცირებულ ცვლადებთან. სახეობების მრავალფეროვნება მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს 800-1200 მეტრზე ზღვის დონიდან და იკლებს სიმაღლესთან ერთად. კვლევაში

განხილულია კლიმატური ცვლადების და გეოგრაფიის მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების სივრცობრივი მოდელის ჩამოყალიბებაში.

ობობების ბიომრავალფეროვნების მოდელი კავკასიის ეკორეგიონისთვის

ობობების ბიომრავალფეროვნების ვიზუალიზაციისათვის ჩვენ გამოვითვალეთ გავრცელების არეალი 471 სახეობის ობობისათვის ინდივიდუალურად და შემდეგ შევაჯამეთ ისინი; მონაცემებად გამოყენებული იყო კავკასიის ობობების გავრცელების წერტილების მონაცემთა ბაზა, ხოლო მოდელირებისათვის გამოყენებული იყო გარპის ალგორითმი (GARP algorithm). სახეობების მრავალფეროვნება ყველაზე მაღალი იყო ცენტრალური კავკასიონის ტყიან ნაწილში, აღმოსავლეთ ცენტრალურ საქართველოში, აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში. რეგრესიული ანალიზის მიხედვით ჩვენ დავადგინეთ რომ ამ სივრცობრივ განაწილებას ძირითადად განაპირობებს: ყველაზე მშრალი კვარტალის საშუალო ტემპერატურა და ნალექები (სხვადასხვა კვარტალის სხვადასხვა რეგიონისათვის). ენდემური სახეობების მრავალფეროვნება კორელაციაში იყო საერთო სახეობების რაოდენობასთან, მაგრამ განსაკუთრებულად მაღალი ენდემიზმი (როდესაც ადგილობრივი ფაუნის 10% მეტი ენდემებია) გვხვდება მხოლოდ მაღლმთიან რეგიონებში, რაც შესაძლოა განპირობებულია გამყინვარების შემდგომი სახეობათწარმოქმნით.

პტეროსტიხუს ანთრაცინუსის (*Pterostichus anthracinus*) კლიმატური მიკრორეფუგიუმი

(გამოუქვეყნებელი მონაცემები)

ორგანიზმის შეუძლია იარსებოს და დატოვოს შთამომავლობა მხოლოდ გარკვეულ კლიმატურ დიაპაზონში. თუმცა ზოგჯერ სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის პოვნა შესაძლებელია ასეთი დიაპაზონის გარეთაც, რაც ადგილობრივი მიკროკლიმატით არის

განპირობებული. მიკრორეფუგიუმების შესწავლა მნიშვნელოვანია
ბიომრავალფეროვნების დღევანდელი სივრცობრივი განაწილების ახსნისთვის და
სამომავლოდ, კლიმატის ცვლილებისათვის კონსერვაციული ღონისძიებების
დასაგეგმად. კვლევაში აღწერილია *P. anthracinus*-ის მიკრორეფუგიუმი რომელიც
ადამიანის აქტივობის შედეგადაა შექმნილი.

Carabus armeniacus-ის სხეულის ზომის და პროპორციის ცვალებადობა ზღვის
დონიდან სიმაღლის მიხედვით

(გამოუქვეყნებელი მონაცემები)

მწერების სხეულის ზომები დამოკიდებულია სიმაღლეზე ზღვის დონიდან, თუმცა
არ არსებობს ერთიანი კანონზომიერება. არის სახეობები, რომელთა სხეულის ზომა
დადებითად კორელირებს, უარყოფითად კორელირებს ან სიმაღლეს უმნიშვნელო
ეფექტი აქვს. ბზუალა ხოჭო (*Carabidae*) *Carabus armeniacus* და ქვეგვარ *Spodristocarabus*-ს
მიეკუთვნება, ქვეგვაირის ყველა სახეობება კავკასიის ენდემებია, *Spodristocarabus*-ის
სახეობები ერთერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ხოჭოებია კავკასიის ტყეებში და
სუბალპურ მდელოებზე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა *Carabus armeniacus*-ის
სხეულის ზომის და პროპორციების ცვალებადობის დადგენა ზღვის დონიდან
სიმაღლის მიხედვით. ორივე სქესის სხეულის ზომა მცირდებოდა სიმაღლესთან ერთად,
თუმცა ეს ცვლილება სარწმუნოა მხოლოდ მამრებისთვის (კორელაციის კოეფიციენტი -
0.349, P <0.05).

Noterus crassicornis (O. F. Muller, 1776) –ახალი სახეობა საქართველოს ფაუნისათვის
(Coleoptera, Noteridae)

(გამოუქვეყნებელი მონაცემები)

ოჯახი Noteridae აერთიანებს ოთხ გვარს, რომლიდანაც საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ *Noterus* Clairville, 1806. საქართველოში ამ გვარიდან მხოლოდ ერთი სახეობა იყო რეგისტრირებული: *Noterus clavicornis*. 2009 წელს კოლხეთის ეროვნულ პარკში დავაფიქსირე *N. crassicornis*, რომელიც მდ. თიქორში (ანაკლია) და მის მიმდებარე ხელოვნურ არხებში შევაგროვე. კვლევაში ასევე მოცემულია ორივე სახეობის განმასხვავებელი ნიშნები.

ჩრდილო პალეარქტიკული სახეობათა კომპლექსის *Pterostichus nigrita* (Paykull) რევიზია, ახალი სახეობის აღწერა ესპანეთიდან და ახალი ქვესახეობა *P. nigrita pontonigrita* sp. n. ანატოლიიდან.

კვლევაში განხორციელდა ჩრდილო პალეარქტიკის *Pterostichus nigrita* სახეობრივი კომპლექსის რევიზია. აღწერილია ახალი სახეობა იბერიის ნახევარკუნძულიდან და მაროკოდან (*P. carri* sp. n.) და ახალი ქვესახეობა ანატოლიიდან (*P. nigrita pontonigrita* subsp. n.). *P. pseudorhaeticus* Solodovnikov გადაყვანილია *P. rhaeticus*-ის სინონიმად. სახეობის სტატუსი განსაზღვრულია გადმობრუნებული ენდოპალუსის ფორმის მიხედვით.

საძიებო სიტყვები: ბიომრავალფეროვნება, მონაცემთა ბაზა, ბზუალა ხოჭოები, ჭიანჭველები, ობობები, მოდელირება.

Abstract

Current work represents study of invertebrate diversity in the Caucasus ecoregion and development of online biodiversity database. Main study groups were: Ground beetles (Coleoptera, Carabidae), Ants (Hymenoptera, Formicidae) and spiders (Araneae).

Georgian biodiversity database

As a result of intensive biodiversity research it became essential to accumulate existing information and increasing its accessibility to researchers globally. In last two decades several national and international biodiversity databases were created. In this chapter I show development of Georgian biodiversity database (www.biodiversity-georgia.net). Statistics about visitors and their interests are provided.

Climate-based model of spatial pattern of the species richness of ants in Georgia

A spatial pattern of the species richness of ants in Georgia (Caucasus) was modeled, areas with the highest number of ant's species were inferred, and climatic factors that influence the pattern of ant diversity were identified. A database was created by accumulating occurrences for 63 ant species, including 256 localities and 2,018 species/occurrences. Species richness was positively correlated with variables associated with temperature and negatively correlated with variables associated with precipitation. Species richness reaches a maximum at the elevations 800–1,200 m a.s.l. and declines at both lower and higher altitudes. The role of climatic variables and geography of the study area in determining the observed pattern of species richness is discussed.

A spider diversity model for the Caucasus Ecoregion

Using occurrence data from a large database we calculated species distribution models with the GARP algorithm for 471 spider species to visualize the diversity distribution of spider species in this region. Overall species diversity was highest in mountain forests of the North Caucasus, east-central Georgia, the southern slopes of the eastern Great Caucasus and south-east Azerbaijan. A regression tree analysis Chi squared automatic interaction detector method revealed the mean temperature of the driest quarter and precipitation parameters to be the main environmental factors shaping these patterns. Diversity of endemic species was correlated with overall species diversity but hotspots of endemic species (10? percent of all species) exists in high-mountain areas, suggesting postglacial speciation events in the high mountains as the main sources of high endemism in Caucasus. Further information on the spatial distribution of species diversity of invertebrate taxa in the Caucasus Ecoregion is needed to improve conservation efforts in this biodiversity hotspot.

Microrefugium of *Pterostichus anthracinus*

(Unpublished data)

Organism can exist and produce offspring only in certain climatic conditions. Sometimes viable population can be found outside such conditions, which is due to local microclimatic conditions. Study of microrefugia is important to understand current special distribution of biodiversity and for planning future conservation activity. In this chapter I describe man-made microrefugium of *P. anthracinus*.

Body size and proportion variation of *Carabus armeniacus* by elevation gradient

(Unpublished data)

Body size of insects are affected by elevation, however different species respond differently, some of them increase in body size with elevation, some decrease and some of them are not

affected at all. Ground beetle *Carabus armeniacus* is representative of subgenus *Spodristocarabus*, which is endemic to Caucasus. Species of *Spodristocarabus* are one of most abundant beetle species in Caucasian mountains and subalpine meadows. Aim of research was to estimate influence of elevation on body size and proportions of *Carabus armeniacus*. Both gender body size decreased by increase of elevation, however this is statistically significant only for males (coefficient of correlation -0.349 , P <0.05).

***Noterus crassicornis* (O. F. Muller, 1776) - new species for Georgian fauna (Coleoptera, Noteridae)**

(Unpublished data)

Family Noteridae is represented by two genus, from which only *Noterus* Clairville, 1806 is distributed in Georgia. Only one species *Noterus clavicornis* was known from Georgia. In 2009 In Kolkheti National park I registered specimens of new species for Georgian fauna - *N. Crassicornis*; Beetles were collected in River Tikori and adjacent artificial ditches. Identification marks are given for both species.

The western Palaearctic species of the *Pterostichus nigrita* (Paykull) complex, with the description of a new species from Spain and a new subspecies of *P. nigrita* from Anatolia (Coleoptera, Carabidae)

The western Palaearctic species of the *Pterostichus nigrita* species complex are revised. Four species, *P. nigrita* (Paykull), *P. rhaeticus* Heer, *P. Fuscicornis* (Reiche & Saulcy) and *P. carri* sp. n. (from the Iberian Peninsula and Morocco) are recognised, as well as *P. nigrita pontonigrita* subsp. n. (from Anatolia).

Key words: Biodiversity, Database, Ground beetles, Ants, Spiders, modeling

**სადოქტორო სამუშაოების დროს გამოქვეყნებული
პუბლიკაციები:**

გამოქვეყნებული შრომები

Angus, R. B., Galián, J., Wrase, D. W., & **Chaladze, G.** 2008. The western Palaearctic species of the *Pterostichus nigrita* (Paykull) complex, with the description of a new species from Spain and a new subspecies of *P. nigrita* from Anatolia (Coleoptera, Carabidae). *Nouv Rev Entomol*, 25, 297-316.

Chaladze, G. 2012. Climate-based model of spatial pattern of the species richness of ants in Georgia. *Journal of Insect Conservation*, 16 (5), 791-800.

Chaladze, G., Otto, S., & Tramp, S. (2014). A spider diversity model for the Caucasus Ecoregion. *Journal of insect conservation*, 18 (3), 407-416.

Japoshvili, G., Ay, R., Karaca, I., Gabroshvili, N., Barjadze, S., & **Chaladze, G.** 2008. Studies on the parasitoid complex attacking the globose scale *Sphaerolecanium prunastri* (Fonscolombe) (Hemiptera: Coccoidea) on Prunus species in Turkey. *Journal of the Kansas Entomological Society*, 81(4), 339-344.

Japoshvili G , **Chaladze G.** 2011. A preliminary study of the Carabid diversity and composition in Borjomi-Kharagauli National Park, Georgia. *Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. B*, 9 (1-4), 54-64

Chaladze. G. 2008. Checklist of diving beetles (Insecta, Coleoptera, Dytiscidae) of Georgia. *Proceedings of the institute of zoology of Georgia*, 124-130

Tarkhnishvili, D., & **Chaladze, G.** 2013. Georgian biodiversity database.
<http://www.biodiversity-georgia.net/>

გამოუქვეყნებელი შრომები

ჩალაძე გ. *Carabus armeniacus*-ის სხეულის ზომის და პროპორციის ცვალებადობა ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით.

ჩალაძე გ. *Noterus crassicornis* (O. F. Muller, 1776) – ახალი სახეობა საქართველოს ფაუნისათვის (Coleoptera, Noteridae).

ჩალაძე გ. პტეროსტიბუს ანთრაცინუსის (*Pterostichus anthracinus*) კლიმატური მიკრორეფუგიუმი.

მადლობა

სადოქტორო დისერტაციის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის
მადლობა მინდა გადავუხადო:

ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ დავით თარხნიშვილს.

პროფესორ ერისტო ყვავაძეს რომელიც სადოქტორი დისერტაციის თავდაპირველ
ვარიანტზე წარმოადგენდა სამეცნიერო ხელმძღვანელს.

ლექსო გავაშელიშვილს მონაცემების სტატისტიკური დამუშავების და
მოდელირების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

რევაზ შარაბიძეს და თამარ შპეტიშვილს მწერების შეგროვებაში გაწეული
დახმარებისთვის.

თამარ ჭუნაშვილს *Carabus armeniacus*-ის გაზომვების დროს გაწეული
დამხარებისთვის.


ჩემი ოჯახის წევრებს თანადგომისთვის და მწერების შეგროვებაში გაწეული
დახმარებისთვის.

რაიან ერიქსონს ინგლისურენოვანი პუბლიკაციების შესწორებისთვის.

შესავალი


ბიომრავალფეროვნება და მისი განაწილება

დედამიწაზე ამჟამად 1.5-1.8 მილიონი ცოცხალი ორგანიზმია აღწერილი (Chapman, 2009; Costello *et al.* 2013), მთლიანობაში კი სულ 5 (± 3) მილიონი სახეობა ცხოვრობს (Costello *et al.* 2013). ცოცხალი ორგანიზმების უმრავლესობა უხერხემლოებია, ამათგან მწერები აღწერილი სახეობების 53%-ს შეადგენს, (სურათი 1, Chapman, 2009). მწერების კლასი 30-ზე მეტი რიგისგან შედგება, მაგრამ სახეობრივი მრავალფეროვნების 90% თავმოყრილია ხუთ ძირითად რიგში: (1) ხეშეშფრთიანები (Coleoptera - ხოჭოები); (2) ქერცლფრთიანები (Lepidoptera - პეპლები); (3) სიფრიფანაფრთიანები (Hymenoptera - ფუტკრები, კრაზანები, ჭიანჭველები); (4) ნახევრადხეშეშფრთიანები (Hemiptera - ბალლინჯოები, ბუგრები); (5). ორფრთიანები (Diptera - ბუზები და კოლოები) (Gullan & Cranston, 2009).



სურათი 1. დედამიწაზე
არსებული აღწერილი
სახეობების
რაოდენობის
განაწილება Chapman-ის
(2009) მიხედვით


ბიომრავალფეროვნება დედამიწაზე არათანაბრად არის განაწილებული, ცალკეული რეგიონები გამოირჩევან განსაკუთრებულად მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნებით და ენდემიზმით. ასევე არათანაბარია ბიომრავალფეროვნების მიმართ არსებული საფრთხეების განაწილება. ცალკეული რეგიონების ბიომრავალფეროვნება უფრო მაღალი საფრთხის ქვეშაა, ძირითადად ადამიანის აქტივობის შედეგად. კონსერვაციის მაქსიმალური ეფექტურობისათვის გამოყოფილია რამდენიმე რეგიონი სადაც ზემოთ ნახსენები ორი კომპონენტი - ბიომრავალფეროვნება და მისდამი არსებული საფრთხეები პიკს აღწევს, ასეთ ადგილებს ცხელ წერტილებს ("ჰოთსპოტებს") უწოდებენ. საქართველოს მთელი ტერიტორია ერთერთი ასეთი ცხელი წერტილის - კავკასიის ეკორეგიონის ცხელ წერტილში მდებარეობს (Myers *et al.* 2000). ევროპული ქვეყნებიდან საქართველოში ყველაზე მაღალია ენდემური სახეობების როგორც პროცენტული ასევე აბსოლუტური რაოდენობა. ამჟამად საქართველოში რეგისტრირებულია 16 000-ზე მეტი სახეობის ცხოველი (Eliava *et al.* 2007, სურათი 2).



სურათი 2. ცხოველთა ძირითადი ჯგუფები (ხმელეთის და მტკნარი წყლების ფაუნა) და მათი სახეობების რაოდენობა საქართველოში Eliava *et al.* 2007 მიხედვით.

- სწორფრთიანები (Orthoptera)
- პეპლები (Lepidoptera)
- სიფრიფანაფრთიანები (Hymenoptera)
- სხვა მწერები

- ნახევრადხეშეშფრთიანები (Hemiptera)
- ხოჭოები (Coleoptera)
- ორფრთიანები (Diptera)



სურათი

3.

საქართველოს

ფაუნის მწერების

ბიომრავალფეროვნ

ება რიგების

მიხედვით (*Eliava et*

al. 2007 მიხედვით)

კავკასიის ეკორეგიონი

კავკასიის ტერიტორია მოიცავს 532 658 კვადრატულ კილომეტრს, ის მოიცავს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიებს, რუსეთის ფერდერაციის ნაწილს (დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილო მსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ადიღეს ავტონომიური რესპუბლიკები, კრასნოდარის და სტავროპოლის ოლქების სამხრეთ ნაწილი) ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთი და ჩრდილო-დასავლეთ ირანი. სამხრეთით საზღვარზე იწყება ირანო-ანატოლიის ცხელი წერტილი (Williams *et al.* 2006; McGinley, 2008). კავკასიის რეგიონი წარმოქმნილია ორი დიდი მთათა სისტემით: დიდი კავკასიონი (უმაღლესი წერტილი: იალბუზი – 5 642 მ.) და მცირე კავკასიონი (უმაღლესი წერტილი: გამიში - 3 724 მ., Williams *et al.* 2006). კავკასიის რეგიონი ძალიან მდიდარია ლანდშაფტებით და ბიომრავალფეროვნებით, სხვა არატროპიკულ რეგიონებთან შედარებით (Tarkhnishvili & Chaladze, 2013).

საკონსერვაციო ქმედებების ეფექტური დაგეგმვისათვის, ასევე ეკოლოგიური მონიტორინგისათვის მნიშვნელოვანია იმ გეოგრაფიული ადგილების ცოდნა, სადაც ბიომრაფალფეროვნება განსაკუთრებით მდიდარია. (Ceballos & Brown, 1995; Garcia 2006; Myers *et al.* 2000; Newbold *et al.* 2009).

ამავე დროს ბიომრავალფეროვნების ინვენტარიზაცია ძალიან ძვირი და შრომატევადი პროცესია, განსაკუთრებით სახეობრივად მდიდარ ტაქსონომიურ ჯგუფებში (მაგალითად მწერებში) რადგან ეს მოითხოვს ინტენსიურ საველე სამუშაოებს, რომელიც როგორც წესი უნდა მოიცავდეს აქტივობის მთელ სეზონს და ასევე ძვირადღირებულ ტაქსონომიურ ექსპერტიზას (Agosti *et al.* 2000). ალტერნატიული მიდგომაა სივრცობრივი მოდელების შემუშავება, რომელიც ემყარება უკვე გამოქვეყნებულ (ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში ან ლიტერატურაში) გავრცელების წერტილებს და კლიმატურ და სხვა, ტაქსონომიური ჯგუფისათვის მნიშვნელოვან ეკოლოგიურ მონაცემებს (Garcia, 2006; Newbold *et al.* 2009).

უხერხემლოების ბიომრავალფეროვნება და კლიმატი

ბიომრავალფეროვნების კლიმატურ და სხვა ეკოლოგიურ პარამეტრებზე დამოკიდებულების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თანამედროვე ბიომრავალფეროვნების სივრცული განაწილების ფორმირება და მოვახდინოთ პროგნოზირება, თუ როგორ ცვლილებებს განიცდის ბიომრავალფეროვნება კლიმატის ცვლილებით (Kerr, 2001; Kienasta *et al.* 1998; Iverson & Prasad, 2001).

იმის გამო რომ უხერხემლოების სხეულის ტემპერატურა დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე, კლიმატს განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს მათთვის. მწერების განვითარების სისწრაფე პირდაპირ დამოკიდებულია ტემპერატურაზე. თავდაპირველი, ყველაზე მარტივი ბიოკლიმატური მოდელები სწორედ ტემპერატურის მიხედვით მწერების განვითარების სისწრაფის მოდელები იყო. ამ მოდელების გამოყენება ძირითადად სოფლის მეურნეობის მავნებლების რიცხოვნობის პროგნოზირებისთვის გამოიყენებოდა, მაგალითად მოცემული კლიმატური

პირობებისათვის როდის არის მოსალოდნელი კვერცხებიდან ლარვების გამოსვლა (Worner, 2008). თანამედროვე კომპიუტერული ალგორითმები და სტატისტიკური მეთოდების საშუალებით შესაძლებელი გახდა უფრო რთული ბიოკლიმატური მოდელების განვითარება, მათ შორის ბიომრავალფეროვნების სივრცობრივი განაწილების მოდელირება. (Fitzpatrick *et al.* 2007; Muñoz *et al.* 2009; Ortega-Huertaand & Peterson, 2008; Soberon & Peterson, 2005; Stockwell, 1999; Stockwell & Peters, 1999).

ბიომრავალფეროვნების სივრცობრივი განაწილების მოდელირებაში არსებობს ორი ძირითადი მიდგომა. პირველის შემთხვევაში საკვლევ ჯგუფში შემავალი თითოეული სახეობისათვის ხდება ოპტიმალური ჰაბიტატების მოდელირება, შემდეგ კი თითოეული ეს ინდივიდუალური რუკა ჯამდება და ქმნის ბიომრავალფეროვნების სივრცობრივი განაწილების რუკას (Garcia, 2006; Newbold *et al.* 2009). ალტერნატიული მიდგომაა სახეობების რაოდენობის დათვლა ცალკეულ გეოგრაფიულ წერტილებში, და შემდეგ კლიმატური და სხვა ეკოლოგიური პარამეტრების მეშვეობით ბიომრავალფეროვნების მოდელირება (მაგალითად რეგრესიული ანალიზით). ზემოთ ჩამოთვლილი ორი მეთოდით ეგვიპტის პეპლების და ძუძუმწოვრების ფაუნის შედარებამ აჩვენა რომ ინდივიდუალური მოდელების დაჯამება უფრო ზუსტ სურათს იძლევა (Newbold *et al.* 2009).

უხერხემლოების შესწავლის მდგომარეობა საქართველოში

მწერების და ზოგადად უხერხემლოების შესწავლის მდგომარეობა ზოგადად ბევრად ჩამორჩება სხვა ცხოველების შესწავლის ხარისხს, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოს მასშტაბით. ერთის მხრივ ეს განპირობებულია როგორც სახეობათა დიდი რაოდენობით, ასევე სამეცნიერო საზოგადოების ნაკლები ყურადღებით. საქართველოში მწერების შესწავლის თვალსაზრისით ძირითადად ინფორმაცია თავმოყრიალია: (1) ფაუნისტურ პუბლიკაციებში ნაკრძალების შესახებ (2) შემაჯამებელი ფაუნისტური სიები (ჩეკლისტები) და (3) ტაქსონომიური პუბლიკაციები (აღწერები, რევიზიები და მონოგრაფიები).

მწერების შესახებ ინფორმაციის ყველაზე დიდ ნაკლოვანებას ბიომრავალფეროვნების შესწავლის კუთხით მდგომარეობს მის ფრაგმენტულობაში, საველე ექსპედიციებში არაპროპორციულად დიდად არის წარმოდგენილი ნაკრძალები და კვლევითი ინსტიტუტების სტაციონარების მიმდებარე ტერიტორიები. მწერების შესახებ ძირითადი ფაუნისური კვლევების მიზანი არ ყოფილა გავრცელების სისტემატიური დარუკება, არამედ ხდებოდა ცალცეული გეოგრაფიული ადგილების ფაუნის შესწავლა. ნებისმიერი ჯგუფისთვის გავრცელების წერტილების რუკაზე დატანით ნათლად ჩანს „თეთრი ლაქები“ - გეოგრაფიული არეები, რომლებიც არ არის წარმოდგენილი კვლევებში (სურათი 12, სურათი 16).

მწერების გავრცელების შესახებ ინფორმაციის კიდევ ერთი მნიშნელოვანი წყაროა კოლექციებში დაცული ეგზემპლარები.

უხერხემლოთა ბიომრავალფეროვნების საფრთხეები

იმის გამო რომ სახეობების აღწერა და ანთროპოგენული გადაშენებები დაიწყო დაახლოებით ერთ პერიოდში, მე-19 საუკუნეში (Tedesco *et al.* 2014) ბევრი სახეობა აღწერამდე გადაშენდა. Tedesco-მ და კოლეგებმა (2014) კომპიუტერული ანალიზით აჩვენეს რომ შესაძლო სახეობების 15-59 % გადაშენდა აღწერამდე. ადამიანის აქტოვობის შედეგად გადაშენებული სახეობების უმრავლესობა უხერხემლოებია (Dunn, 2005; Kellert, 1993). Dunn-ის (2005) გამოთვლებით მარტო ბოლო 600 წლის განმავლობაში 44 ათასი სახეობის მწერი გადაშენდა, თუმცა გაცილებით ნაკლებია რეგისტრირებული გადაშენებები (70-მდე სახეობა Dunn, 2005).

მწერების ბიომრავალფეროვნების ძირითად საფრთხეებს წარმოადგენს: ჰაბიტატების ცვლილება (განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია), ინვაზიური სახეობები, ჯაჭვური გადაშენებები და კლიმატის ცვლილება (Stewart *et al.* 2007).

ჰაბიტატების კარგვა და ფრაგმენტაცია, რაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შედეგია ბიომრავალფეროვნების ყველაზე დიდი საფრთხეს წარმოადგენს

(Newbold *et al.* 2014). ჰაბიტატების ზომის შემცირება განსაკუთრებულად პრობლემატურია იმიტომ რომ პოპულაციის ზომა არ არის პირდაპირპროპორციული ჰაბიტატის ზომის: გარკვეული კრიტიკულად მცირე ზომის მიღწევისას პოპულაცია მთლიანად ქრება (Fahrig, 1997; Fahrig, 2001). ჰაბიტატების ფრაგმენტაცია კი ართულებს ან შეუძლებელს ხდის მიგრაციას პოპულაციებს შორის და შესაბამისად ამცირებს პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობას (Fahrig, 1997; Fahrig, 2001).

ჯაჭვური გადაშენებების შემთხვევაში ერთი სახეობის გადაშენება იწვევს სხვა სახეობების გადაშენებასაც (Dunn, 2005). ჯაჭვური გადაშენების მაგალითია პეპელა *Maculinea arion*-ის გადაშენება დიდ ბრიტანეთში. *Maculinea arion* ლარვულ სტადიაში პარაზიტია და *Myrmica sabuleti*-ის სახეობის ჭიანჭველები კვებავენ. ბრიტანეთში ინვაზიური ბოცვერის (*Oryctolagus cuniculus*) საწინააღმდეგო მოქმედებების გამო დაბალი მცენარეულობა უფრო მაღალმა მცენარეულმა საფარმა ჩანაცვლა, რამაც შეამცირა ჭიანჭველების (*Myrmica sabuleti*) რიცხოვნობდა და შედეგად პეპლის სახეობის სრული გადაშენება გამოიწვია (Elmes & Thomas, 1992).

ინდუსტრიული აქტივობის და მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებს შორის მიმოსვლის გამო შესაძლებელი ხდება უცხო სახეობების შესვლა ახალ ტერიტორებზე. ასეთი ინვაზიური სახეობები, რომლებიც წარმატებით დამკვიდრდებიან საფრთხეს უქმნიან ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას. მაგალითად არგენტინიდან კალიფორნიაში მოხვედრილმა ჭიანჭველამ (*Linepithema humile*) შვიდი წლის განმავლობაში ადგილობრივი ჭიანჭველების ჰაბიტატების დაკავება და მათი თანასაზოგადოებების დეგრადაცია გამოიწვია (Sanders *et al.* 2003). ასეთივე უარყოფითი შედეგის მქონეა ადგილობრივი ეკოსისტემისთვის უცხო ხეების გაშენება. მაგალითად, ავსტრალიაში ფიჭვის (*Pinus radiata*) ხელოვნურ ნარგავებში ჭიანჭველების ფაუნა ბევრად უფრო ღარიბია ვიდრე ბუნებრივი ეკალიპტის ტყეებში (Sinclair & New, 2004). პატაგონიაში (სამხრეთ ამერიკა) ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვითაც ფიჭვის ხელოვნური ნარგავები მნიშვნელოვნად აღარიბებს ადგილობრივი ჭიანჭველების ფაუნას (Corley *et al.* 2006).

კლიმატის ცვლილება და მწერების ბიომრავალფეროვნების თემაზე გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობდა ყოველწლიურად იზრდება 1995 წლიდან მოყოლებული. 1985 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში 1700-მდე სტატია გამოქვეყნდა. ჯუფების მიხედვით ყველაზე მეტი ყურადღება პეპლებს, ორფრთიანებს, სროწფრთიანებს და კოლემბოლებს ეთმობა. თემატურად ყველაზე მეტად შეისწავლება კლიმატის ცვლილების შედეგად არეალების საზღვრების შეცვლა, რიცხოვნობის და თანასაზოგადების სტრუქტურის ცვლილებები (Andrew, *et al.* 2013). იმის გამო რომ სხვადასხვა სახეობის მწერები განსხვავებულად რეაგირებენ კლიმატურ პირობებზე (Smith *et. Al.*, 2000) ძნელია განზოგადება თუ რამდენად ძლიერია კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მწერების მრავალფეროვნებაზე.

კონსერვაცია

მწერების კონსერვაციის უმთავრესი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას გაცილებით ნაკლები ყუდადღება ექცევა, ვიდრე ხერხემლიანი ცხოველების კონსერვაციას (Dunn, 2005). გარდა ამისა მნიშვნელოვანია მათი სპეციფიური ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებები (1) ხშირად სხვადასხვა სიცოცხლის სტადიებში მწერები სხვადასხვა ჰაბიტატებში ცხოვრობენ და იკვებებიან; (2) სახეობათა უმრაველობის მიგრაციის უნარი მიზერულია; (3) ბევრი მწერი სპეციალიზირებულია საკვებზე ან მიკროჰაბიტატზე; (4) სიცოცხლის ხანგრძლივობა ხანმოკლეა (Stewart *et al.* 2007).

საქართველოს ტერიტორიაზე მწერების კონსერვაცია არასოდეს აღქმულა მნიშვნელოვან საკითხად. მწერების კონსერვაცია შემოიფარგლება საქართველოს წითელ ნუსხაში რამდენიმე სახეობის მწერის არსებობით. 2014 წელს საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმაში შეტანილია პუნქტი „სასარგებლო მწერების“ მდგომარეობის შეფასების და მათი კონსერვაციის რეკომენდაციების შემუშავების შესახებ (პუნქტი B.4.-o3.2.). განსხვავებით ძუძუმწოვრების და ფრინველების მრავალფეროვნებისგან, საქართველოში მწერების

მრავალფეროვნების მნიშვნელობა კვლავ ფასდება მისი სოფლის მეურნეობაზე გავლენის მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა

Agosti D, Majer JD, Alonso LE, Schultz TR. 2000. Ants: standard methods for measuring and monitoring biological diversity. Smithsonian Institution Press, Washington, DC

Andrew, N. R., Hill, S. J., Binns, M., Bahar, M. H., Ridley, E. V., Jung, M. P., ... & Khusro, M. 2013. Assessing insect responses to climate change: What are we testing for? Where should we be heading?. PeerJ, 1, e11.

Ceballos G, Brown JH. 1995. Global patterns of mammalian diversity, endemism, and endangerment. Conserv Biol 9:559–568

Chapman, A. D. 2009. Numbers of Living Species in Australia and the World (PDF) (2nd ed.). Canberra: Australian Biological Resources Study. pp. 1–80. ISBN 978 0 642 56861 8.

Corley, J., Sackmann, P., Rusch, V., Bettinelli, J., & Paritsis, J. 2006. Effects of pine silviculture on the ant assemblages (Hymenoptera: Formicidae) of the Patagonian steppe. Forest ecology and management, 222(1), 162-166.

Costello, M. J., May, R. M., & Stork, N. E. 2013. Can we name Earth's species before they go extinct?. science, 339(6118), 413-416.

Dunn, R. R. 2005. Modern insect extinctions, the neglected majority. Conservation Biology, 19(4), 1030-1036.

Elmes, G. W., and J. A. Thomas. 1992. Complexity of species conservation in managed habitats—interaction between *Maculinea* butterflies and their ant hosts. Biodiversity and Conservation 1:155–169.

Fahrig L. 1997. Relative effects of habitat loss and fragmentation on population extinction. Journal of Wildlife Management 61: 603–610.

Fahrig L. 2001. How much habitat is enough? Biological Conservation 100: 65–74.

Fitzpatrick MC, Weltzin JF, Sanders NJ, Dunn RR 2007. The biogeography of prediction error: why does the introduced range of the fire ant over-predict its native range? Glob Ecol Biogeogr 16(1):24

Garcia A. 2006. Using ecological niche modelling to identify diversity hotspots for the herpetofauna of Pacific lowlands and adjacent interior valleys of Mexico. Biol Conserv 130:25–46

Gullan, P. J., & Cranston, P. S. 2009. The insects: an outline of entomology. John Wiley & Sons.

Irakli Eliava, I., Cholokava, A., Kvavadze, E., Bakhtadze, G. 2007. New Data on Animal Biodiversity of Georgia. Bulletin Of The Georgian National Academy Of Sciences, 175 (2). 115–119.

Iverson LR, Prasad MA. 2001. Potential changes in tree species richness and forest community types following climate change. Ecosystems 4:186–199

Kellert, S. R. 1993. Values and perceptions of invertebrates. Conservation Biology. 7:845–855.

Kerr JT. 2001. Butterfly species richness patterns in Canada: energy, heterogeneity, and the potential consequences of climate change. Conserv Ecol 5(1):10. [Online] URL: <http://www.consecol.org/vol5/iss1/art10/>

Kienasta F, Wildia O, Brzezieckib B. 1998. Potential impacts of climate change on species richness in mountain forests—an ecological risk assessment. Bioll Conserv 83:291–305

McGinley. M (editor). 2008. In: International, C. Biological diversity in the Caucasus. Retrieved from <http://www.eoearth.org/view/article/150637>

Munoz MES, Giovanni R, Siqueira MF, Sutton T, Brewer P, Pereira RS, Canhos DAL, Canhos VP. 2009. openModeller: a generic approach to species' potential distribution modelling. *GeoInformatica* 15:111–135

Myers N, Mittermier RA, Mittermier CG, da Fonseca GAB, Kent J. 2000. Biodiversity hotspots for conservation priorities. *Nature* 403:853–858

Newbold, T., Gilbert, F., Zalat, S., El-Gabbas, A., & Reader, T. 2009. Climate-based models of spatial patterns of species richness in Egypt's butterfly and mammal fauna. *Journal of Biogeography*, 36(11), 2085-2095.

Newbold, T., Hudson, L. N., Phillips, H. R., Hill, S. L., Contu, S., Lysenko, I., ... & Purvis, A. 2014. A global model of the response of tropical and sub-tropical forest biodiversity to anthropogenic pressures. *Proceedings of the Royal Society B: Biological Sciences*, 281(1792), 20141371.

Ortega-Huerta MA, Peterson AT. 2008. Modeling ecological niches and predicting geographic distributions - a test of six presenceonly methods. *Rev Mex Biodivers* 79:205–216

Sanders, N.J., Gotelli, N.J., Heller, N.E. and Gordon, D.M. 2003. Community disassembly by an invasive species. *Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America* 100, 2474–2477.

Sinclair, J. E., & New, T. R. 2004. Pine plantations in south eastern Australia support highly impoverished ant assemblages (Hymenoptera: Formicidae). *Journal of Insect Conservation*, 8 (4), 277-286.

Sinclair, J.E. and New, T.R. 2004. Pine plantations in south eastern Australia support

Smith, R. J., Hines, A., Richmond, S., Merrick, M., Drew, A., & Fargo, R. 2000. Altitudinal variation in body size and population density of *Nicrophorus investigator* (Coleoptera: Silphidae). *Environmental entomology*, 29(2), 290-298.

Soberon J, Peterson AT. 2005. Interpretation of models of fundamental ecological niches and species' distributional areas. *Biodivers Inform* 2:1–10

Stewart, A. J., New, T. R., & Lewis, O. T. (Eds.). 2007. *Insect Conservation Biology: Proceedings of the Royal Entomological Society's 23nd Symposium*. CABI.

Stockwell DRB, Peters DP. 1999. The GARP modeling system: problems and solutions to automated spatial prediction. *Int J Geogr Infn Syst* 13:143–158

Stockwell DRB. 1999. Genetic algorithms II. In: Fielding AH (ed) *Machine learning methods for ecological applications*. Kluwer Academic Publishers, Boston, pp 123–144

Tarkhnishvili D, Chaladze G, Gavashelishvili L, Javakhishvili Z, Mumladze L. 2010. Georgian biodiversity database. Internet: <http://www.biodiversity-georgia.net/>. Accessed 12 Feb 2015

Tedesco, P. A., Bigorne, R., Bogan, A. E., Giam, X., Jezequel, C., & Hugueny, B. 2014. Estimating How Many Undescribed Species Have Gone Extinct. *Conservation Biology*, 28(5), 1360-1370.

Tscharntke, T., Steffan-Dewenter, I., Kruess, A., & Thies, C. 2002. Characteristics of insect populations on habitat fragments: a mini review. *Ecological research*, 17(2), 229-239.

Williams, L., Zazanashvili, N., Sanadiradze, G., & Kandaurov, A. 2006. An ecoregional conservation plan for the Caucasus. WWF Caucasus Programme Office, Tbilisi.

Worner, S. P. 2008. Bioclimatic models in entomology. In *Encyclopedia of Entomology* (pp. 476-481). Springer Netherlands.

საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ 06/06/2003.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისი №343 დადგენილება „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს პრეზიდენტის №303 2006 წლის 2 მაისის ბრძანებულება. „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა

Georgian Biodiversity Database

Home	About	Caucasus	Projects	Publications
<input type="text"/> <input type="button" value="Search"/>				
Eucariota (10145) Animalia (4388) Fungi (639) Viridaeplanteae (5118)	 Tremella sp.	 Lycoperdon perlatum	 Calochicum speciosum	
New Images were added for: Emberiza melanocephala Crocothemis erythraea Mylabris Scarabaeus saer Testudo graeca Omphron limbatum Omphron Orthetrum brunneum Cyprinus aeneus Chlaenius coeruleus Urocerus Siriidae Hymenoptera Gyrinus substritus Gyrinidae	 Agrodiaetus sp.	 Metteuccia struthiopteris	 Helix goderdziana	 Sparassis sp.
Last Updated Taxa: Blattodea Crocothemis erythraea Meloidae Leptinotarsa Leptinotarsa decemlineata Urocerus Phylodromica Lissotriton vulgaris Pyrrhocoris apterus Vanessa cardui Pyrrhocoris apterus Pyrrhocoris apterus Peziza arvernensis Phallus impudicus Oudemansiella badia	 Calocera viscosa	 Mertensiella Caucasca	 Gypaetus barbatus	 Castanea forest
	 Dactylorhiza iberica	 Tryops cancriformis	 Chionomys gud	 Boletus satanas
	 Hygrocybe psittacina	 Delphinus delphis	 Scutigera coleoptrata	 red deer male

შესავალი

250 წლის წინ კარლ ლინემ განსაზღვრა ცხოველების და მცენარეების კლასიფიკაციის პრინციპები (Linnaeus, 1758). ამ პერიოდში ლინეს მიერ 10 000 - მდე აღწერილი სახეობა 1.5-1.8 მილიონამდე გაიზარდა (Chapman, 2009; Costello *et al.* 2013). ინფორმაციის დაგროვების პროცესში განსაკუთებით პრობლემატური გახდა ერთიდაიგივე სახეობების მრავალჯერადი აღწერა სხვადასხვა ავტორების მიერ, რაც ძირითად გამოწვეული იყო ტაქსონომისტებს შორის კომუნიკაციის სირთულეში. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ინფორმაციის სწრაფი და ეფექტური გაზიარება სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე მეცნიერებისათვის. ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზების მიზანს წარმოადგენს სახეობისათვის არსებული მთელი ინფორმაციის ერთ სივრცეში გაერთიანება (Maddison *et al.* 2007). ბოლო ოცი წლის განმავლობაში შეიქმნა მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა (Eol.org; Gbif.org). ასევე ბევრია რომელიმე ცალკეული ტაქსონის მონაცემთა ბაზა, მაგალითად AntWeb (Antweb.org) რომელიც მოიცავს მსოფლიო ჭიანჭველების ფაუნას. ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზები ძირითადად სპეციალისტების მიერ იქმნება და რედაქტირდება, თუმცა არსებობს ფართო საზოგადოებისთვის ღია ვებგვერდებიც, მაგალითად პროექტი Wikispecies, რომელიც 400 ათასზე მეტი სახეობის შესახებ მოიცავს ინფორმაციას (Species.wikimedia.org).

საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა 2007 წელს შეიქმნა დავით თარხნიშვილის მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია კავკასიის ენდემების კვლევის ცენტრში. 2009 წლიდან მის ადმინისტრირებას ახორციელებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტი. 2010 წლიდან ვებ გვერდის ადმინისტრირებას და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს გიორგი ჩალაძე.

მასალა და მეთოდები

პროგრამირების ენა


ვებ გვერდი შექმნილია PHP, HTML და JavaScript პროგრამული ენების მეშვეობით. სკრიპტის ძირითადი ნაწილი დაწერლია PHP პროგრამულ ენაზე - პროცედურული დაპროგრამებით.

PHP (Hypertext Preprocessor) წარმოადგენს ზოგადი დანიშნულების პროგრამილ ენას, თუმცა ის ძირითადად გამოიყენება ვებ პროგრამირებისათვის (ლონალაძე, 2007; Php.net, 2015). PHP ერთეულთი ყველაზე ფართოდ გამოიყენებადი ენაა ვებ-პროგრამირებაში: 2013 წლის იანვარში ვებ-საიტების 39% იყენებდა მას (Ide, 2013).

მონაცემთა ბაზის სტრუქტურა

ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ტექსტური ინფორმაცია ინახება MySQL მონაცემთა ბაზაში. MySQL წარმოადგენს ღია კოდის მქონე რელაციური მონაცემთა ბაზების მენეჯმენტის სისტემას (mysql.com).

ვებგვერდის MySQL მონაცემთა ბაზა ხუთი ცხრილისგან შედგება (სურათი 4). ცხრილების ერთმანეთთან დაკავშირდება ხორციელდება უნიკალური სვეტის „სახეობის“ მეშვეობით. სახეობის სვეტი წარმოადგენს ბინომიალურ ლათინურ სახელს (გვარი სახეობა).



სურათი 4. MySQL მონაცემთა ბაზის სქემატური გამოსახულება. ლურჯად აღნიშნულია MySQL მონაცემთა ბაზის ცხრილები, ნაცრისფრად აღნიშნულია სერვერზე არსებული ფაილები. ცხრილების დამაკავშირებელ უნიკალურ სვეტს წარმოადგენს სახეობა (ბინომენი).

ტაქსონომიური იერარქია

უმდაბლეს იერარქიულ ერთეულს მონაცემთა ბაზაში წარმოადგენს სახეობა, თითოეულ სახეობას აქვს გრაფა „Parent“ რომელიც განსაზღვრავს სახეობის ზედა ნოდას. იმის მიხედვით თუ რა ჯგუფზეა საუბარი ეს შეიძლება იყოს ქვეგვარი, გვარი, ოჯახი ან ნებისმიერი სხვა ტაქსონი რომელსაც სახეობა მიეკუთვნება. ტაქსონომიურ იერარქიას განსაზღვრავს რედაქტორი. უმაღლეს იერარქიულ საფეხურს წარმოადგენენ ტაქსონები: Animalia, Fungi და Viridaeplantae.

MySQL მონაცემთა ბაზაში	
Species	Parent
Eucariota	NULL
Animalia	Eucariota
Arthropoda	Animalia
Hexapoda	Arthropoda
Coleoptera	Hexapoda
Carabidae	Coleoptera
Cychrus	Carabidae
Cychrus aeneus	Cychrus
Cychrus signatus	Cychrus

იერარქია ვებ-გვერდზე

[Eucariota \(10146\)](#)
[Animalia \(4389\)](#)
[Arthropoda \(3360\)](#)
[Hexapoda \(2782\)](#)
[Coleoptera \(947\)](#)
[Carabidae \(572\)](#)
[Cychrus \(2\)](#)
 [Cychrus aeneus](#)
 [Cychrus signatus](#)

სურათი 5. ტაქსონომიური იერარქია Cychrus -ის სახეობებისათვის: MySQL მონაცემთა ბაზაში და ვებგვერდზე გამოტანილი ინფორმაცია.

ტაქსონომიის გამოსატანად PHP სკრიპტი იწყებს მოცემული ტაქსონის „Parent“-ის ძებნას MySQL მონაცემთა ბაზაში, ინახავს მას დროებით მასივში, იგივე პროცედურა მეორდება მანამდე სანამ არ მიიღწევა ერთ-ერთი უმაღლესი იერარქიის ტაქსონი (Animalia, Fungi და Viridaeplantae; სურათი 5, ცხრილი 1).

ცხრილი 1. PHP სკრიპტი რომლითაც ხდება ტაქსონომიური იერარქიის ვებგვერდზე გამოტანა

```
<?php

$ParentTaxon=$taxon; // ტაქსონი რომლის იერარქიაც უნდა გამოვიდეს ვებგვერდზე

$n=0;

while ($ParentTaxon != "") {

$array= mysql_fetch_array(mysql_query("SELECT Taxon, Taxonomy, Parent FROM
species_table where Taxon='$ParentTaxon' LIMIT 1"));

$hierarchy[$n]=$array[Parent];

$ParentTaxon=$array[Parent];

$n=$n+1;

}

$go=0;

for ($i=9;$i>=0;$i--){

$go=count($hierarchy)-$i;

if ($hierarchy[$i]!= "") {

    for ($k=0;$k<$go;$k++) {echo " ";}

echo "<a href='index.php?taxon=$hierarchy[$i]' class='taxon_link'>$hierarchy[$i]</a>";

NumberOfSpecies(trim($hierarchy[$i])); // ფუნქცია ითვლის სახეობების რაოდენობას

CheckImage($array[Taxon]); // ფუნქცია ამოწმებს აქვს თუ არა ტაქსონს ფოტო

echo "<br>";


} }

?>
```

ტექსტური რედაქტორი

ახალი მონაცემების შეყვანა და რედაქტირება ხდება ადმინისტრატორის პანელიდან. თითოეულ რედაქტორს მისი კვლევის სფეროს მიხედვით აქვს შეზღუდული წვდომა თუ რომელი ტაქსონის რედაქტირება შეუძლია.

ტექსტის ფორმატირებისთვის გამოყენებულია ღია კოდის HTML რედაქტორი - TinyMCE (Tinymce.com). TinyMCE წარმოადგენს WYSIWYG¹ რედაქტორს და ისეთივე მარტივი მოსახმარია როგორც ფართოდ გამოყენებადი ტექსტური რედაქტორები (მაგალითად MS Word, სურათი 6).



სურათი 6. TinyMCE-ს ტექსტური რედაქტორის მენიუს პანელი.

ვიზიტორების მთვლელი

2010 წლის 1 სექტემბერს მონაცემთა ბაზას დაემატა Google Analytics-სტატისტიკური მთვლელი, რომელიც საშუალებას იძლევა ვიზიტორების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, ასევე თუ რა საძიებო სიტყვებით (Keywords) იქნა ვებ გვერდი ნაპოვნი და საიდან გადმოვიდა მომხმარებელი ვებ გვერდზე.

დაფინანსების წყაროები

2007 წელს შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია კავკასიის ენდემების კვლევის ცენტრის მიერ ენერგოკომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" (BP) დაფინანსებით.

¹ WYSIWYG - "What You See Is What You Get".

2009 წლიდან ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს ილიას უკნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტი.

2009-2010 წლებში ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა დაფინანსდა ევროკავშირის მიერ პროექტ ევროპული სახეობების დირექტორიის ინფრასტრუქტურის (A Pan-European Species directories Infrastructure – PESI, Eu-nomen.eu) ფარგლებში. პროექტის განმავლობაში განხორციელდა ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ტაქსონომიის ფაუნა ევროპეასთან შესაბამისობაში მოყვანა და ქართული სახელწოდებების დამატება.

2013 წელს ვებგვერდზე ქვეპროექტის „დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანების მონაცემთა ბაზა“ დააფინანსა საქართველოს სამეცნიერო განვითარების ფონდმა (GRDF, www.grdf.ge).

2014 წელს სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პროექტის ფაგლებში ვებგვერდზე ინდიკატორი სახეობებზე ინფორმაციის განსათავსებლად დაფინანსდა GIZ-ის (Giz.de) მიერ.

ინფორმაციის წყაროები

ინფორმაცია რომელიც ჩემს მიერ განთავსებულია ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში არის მოპოვებული სამი გზით:

1. საველე გასვლებიდან მოპოვებული ინდივიდები.
2. უკვე არსებული საკოლექციო მასალის შესწავლით.
3. ლიტერატურული მონაცემებიდან.

საველე გასვლებით მოპოვებული ინდივიდები

საველე გასვლების მიზანი არ ყოფილა სპეციფიურად ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზისთვის ინფორმაციის შეგროვება, ამიტომ საველე გასვლები ატარებდა

არასისტემატიურ ხასიათს (სხვადასხვა პროექტების ფარგლებში). მასალის მოპოვებას ძირითადად ვახდებდი ხელით შეგროვების გზით. თუმცა ასევე ვიყენებდი უხერხემლოების შეგროვების სხვა სტანდარტულ მეთოდიკას (**ცხრილი 2**).

ცხრილი 2. საველე გასვლებით მოპოვებული ძირითადი ჯგუფები და შეგროვების მეთოდიკა.

მეთოდი	წყარო	ძირითადი ტაქსონები
ძებნა ქვების, მორების და საფენის წვეშ ქვეშ	Медведев, 1968; Крыжановский, 1983; Trautner & Geigenmueller, 1987	Carabidae (ძირითადად გვარების Pterostichus და Carabus-ის შესაგროვებლად), Tenebrionidae
ნიადაგის ხაფანგები	Крыжановский, 1983;	Carabidae (ძირითადად გვარების Pterostichus და Carabus-ის შესაგროვებლად)
წყლის მწერბადე	Зайцев, 1953	Noteridae, Dytiscidae
ბალახის მწერბადე („თიბვა“)	Медведев, 1952; Гурьева, 1979	Elateridae
ნაკელიდან ექსტრაქცია	Крыжановский, 1983;	ზეოჯახი Scarabaeoidea, იშვიათად Carabidae

გამოყენებული კოლექციები და ლიტერატურა

კვლევის დროს გამოყენებული იყო შემდეგი კოლექციები:

ილიას უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის ბზუალა ხოჭოების კოლექცია, რომელიც ძირითადად შეგროვებულია ნინა რეკის მიერ.

ილიას უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის ტკაცუნა ხოჭოების კოლექცია, ძირითადი შემგროვებელი თ. ჩანტლაძე

ილიას უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის ულვაშფირფიტოვანების კოლექცია, ძირითადი შემგროვენებლი იასონ ჯამბაზიშვილი.

ფინეთის ზოოლოგიური მუზეომის ენტომოლოგიური კოლექცია (ცაბრუსის გვარის წარმომადგენლები)

გიორგი ჩალაძის პირადი ენტომოლოგიური კოლექცია.

ინფორმაცია ეტიკეტებიდან ამოკრეფილი იყო მხოლოდ იმ ინდივიდებიდან რომლებიც შეიცავდა კონკრეტულ გეოგრაფიულ დასახელებას და არ იწვევდა ეჭვს მისი სიზუსტე.

ცხრილი 3. ძირითადი ტაქსონები და გამოყენებული წყაროები

ტაქსონი	წყარო	ბმული
ჭიანჭველები (Hymenoptera, Formicidae)	Gratiashvili & Barjadze Sh 2008	http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Formicidae
ტკაცუნა ხოჭოები (Coleoptera, Elateridae)	Chantladze, 2000	http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Elateridae
ულვაშფირფიტოვანი ხოჭოები (Coleoptera, Scarabaeoidea)	Джамбазишвили, 2000	http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Scarabaeidae
ბზუალა ხოჭები (Coleoptera, Carabidae)	Reck & Chaladze, 2004	http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Carabidae
ჭიამაიები (Coleoptera, Coccinellidae)	Merkviladze & Kvavadze, 2002	http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Coccinellidae
შავტანა ხოჭოები (Coleoptera, Tenebrionidae)	Джамбазишвили, 2000	http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Tenebrionidae
ობობები (Arachnida, Araneae)	Otto & Tramp, (2012)	http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Araneae

ლიტერატურის ჩამონათვალი საიდანაც მოვაგროვე ინფორმაცია ტაქსონომიის და გავრცელების შესახებ მოცემულია მე-3 ცხრილში.

გეორეფერირება

ინფორმაციის უდიდესი ნაწილი როგორც ლიტერატურაში, ასევე საკოლექციო ეტიკეტებზე იყო გეოგრაფიული კოორდინტების გარეშე. გეორგრაფიული წერტილების შესახებ ინფორმაციის მოძიება მოხდა geonames მონაცემთა ბაზის გამოყენებით (<http://www.geonames.org/>), რომელიც ეფუძნება საბჭოთა ტოპორუკებს და შეიცავს ინფორმაციას კავკასიის ყველა დასახლებული პუნქტის შესახებ. სახელები, რომლებიც ვერ მოიძებნა geonames მონაცემთა ბაზაში მოვიძიე Google earth-ის მეშვეობით. ზუსტი ლოკაციის არცოდნის პირობებში კოორდინატებს ვიღებდი დასახლებული პუნქტის ცენტრიდან (რომელიც განსაზღვრულია Google earth-ის რუკებზე).

სახეობების იდენტიფიკაცია

მწერების ბევრი სახეობის გარკვევისათვის აუცილებელია მამრის საქესო ორგანოების პრეპარატის დამზადება. კვლევის პროცესში მე ვიყენებდი ენდოფალუსის შიდა ტომრის გადმობრუნების მეთოდიკას (Berlov, 1992; Angus et. Al., 2009):


მუცლიდან ედეაგოფორის ამოკვეთის შემდეგ საჭიროა მუცლის პარამერების მოშორება ედეაგუსისაგან. თუ მწერი ახლად არის დაფიქსირებული დამატებითი პროცედურები საჭირო არ არის. მშრალი საკოლექციო მასალის შემთხვეში ხოჭოებს ვასველებდი შემდეგ სპეციალურ ნარევში (75 მლ. 96%იანი ეთანოლი, 20 მლ. დისტილირებული წყალი, 5 მლ. ყინულოვანი ძმარმჟავა) 2-3 დღის განმავლობაში. მწერების დაფიქსირება ხდებოდა ამავე ნარევში.

მუცლის ღრუდან ედეაგუსის ამოკვეთა ხდება სტერგიტების და სტერნიტების შემაერთებელი მემბრანის გაკვეთით. ამოკვეთილი ედეაგუსისდან რბილი ქსოვილების მოსაშორებლად ვახდენდი მის დალბობას NaOH-ის 10%-იან ხსნარში. ხსნარში

დაყოვნების დრო დამოკიდებულია ედეაგუსის ზომაზე და რბილი ქსოვილების რაოდენობაზე. გასუფთავებული ედეაგუსის გარეცხვა ხდებოდა გამოხდილ წყალში.


პრეპარატის დასამზადებლად ვიყენებდი ჰიპოდერმულ შპრიცს კალიბრი: 30-29 (გარე დიამეტრი 0.305 - 0.33 მმ, შიდა დიამეტრი 0.14-0.16 მმ) ("ინსულინის შპრიცი"); დიდი ზომის ხოჭოებისათვის ვიყენებდი პლასტმასის სამედიცინო შპრიცს (გარე დიამეტრი 0.635-0.711 მმ, შიდა დიამეტრი 0.318-0.394 მმ.)

რადგან ნემსის ბასრმა წვერმა შეიძლება დააზიანოს პენისის შდა ტომრის მემბრანა, ვახდენდი მის გაქლიბვას ელექტრო ქლიბის მეშვეობით. გაქლიბვა ხდებოდა ისეთ დიამეტრამდე რომ დაუზიანებლად შესულიყო და მჭიდროდ მორგებოდა ენდოფალუსს. ნემსის ანაქლიბისაგან და თავის გადაღუნვის დასაცავად ქლიბვისას მასში ვათვსებდი ენტომოლოგიურ ქინძისთავს (სურათი 7).



სურათი 7. ენდოფალუსის პრეპარატის დასამზადებელი შპრიცის ნემსი დამუშავებამდე, დამუშავების პროცესში და მის შემდეგ.

შპრიცის მეშვეობით ენდოფალუსში შემყავდა კბილის პასტა, ენდოფალუსის გადმობრუნების შემდეგ სწრაფი შრობისთვის პრეპარატს ვყოფდი 96%-იან სპირტში და შემდეგ ვაშრობდი ელექტრო ნათურასთან 2-3 მმ სიშორეზე, ენდოფალუსის ზომიდან გამომდინარე შრობა საჭიროა რამდენიმე წუთიდან 3 საათამდე. გამშრალი და დამონტირებული პრეპარატი ნაჩვენებია მე-8 სურათზე.



სურათი 8. პტეროსტიხუსის ენდოფალუსის პრეპარატი, რომელიც დამაგრებულია ქინძსთავზე დაფიქსირებულ მუყაოს ქაღადლდზე.

ვებ გვერდის ძირითადი მონაცემები

სახელწოდება: საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა (Georgian Biodiversity Database)

ენა: ინგლისური

ელ. მისამართი: www.biodiversity-georgia.net

რედაქტორები: დავით თარხხნიშვილი, გიორგი ჩალაძე;

ავტორები: დავით თარხხნიშვილი, გიორგი ჩალაძე, ლექსო გავაშელიშვილი, ლევან მუმლაძე, ზურა ჯავახიშვილი, დიეგო როდრიგესი;

ძირითადი კონტრიბუტორები: სანდრო თარხან-მოურავი, ზეზვა ასანიძე, რუსიკო მამრაძე, ქეთინო ოდიკაძე, ინგა შავაძე, გურამ ირემაშვილი, მაია ახალკაცი, გიორგი ჯაფოშვილი;

ტაქსონის გვერდი

ტაქსონის გვერდი შეიცავს ქვემოთ მოყვანილ გრაფებს, ვებგვერდზე ჩნდება მხოლოდ ის გრაფები რომლებიც ინფორმაციას შეიცავენ (ვარსკვლავით აშნიშნულია მინიმალური სავალდებულო გრაფები):

Accepted name * - ვალიდური სახელი, ფორმატით: გვარი სახეობა, ავტორი წელი

Common name - ალტერნატიული, პოპულარული დასახელება ინგლისურ ენაზე

Georgian name - სახელწოდება ქართულად

Synonyms - ტაქსონომიური სინონიმები

Taxonomic rank * - ტაქსონომიური რანგი

Taxonomy according to - ტაქსონომია ვებგვერდის მიხედვით

Reference - ტაქსონის ვალიდურობის წყარო

ბმული ფაუნა ევროპეას შესაბამისი ტაქსონის ვებგვერდთან (მხოლოდ სახეობებისთვის).

Remark - რედაქტორს საშუალებას აძლევს შეიყვანოს კომენტარი/დამატებითი ინფორმაცია ტაქსონის შესახებ

Distribution - ზოგადი ინფორმაცია გავრცელები შესახებ

IUCN Status - IUCN-ის სტატუსი

National Red list status - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონსერვაციული სტატუსი

Editor/Contact Person - რედაქტორი

Contact address - რედაქტორის ელ. ფოსტა

გავრცელების წერტილების ჩამონათვალი (დანართი 2, სურათი).

გავრცელების წერტილების რუკა - Google-map-ის აპლიკაციის მეშვეობით (დანართი 2, სურათი).

გავრცელების არეალი - ასევე Google-map-ის აპლიკაციის მეშვეობით.

GBIF - ის მონაცემთა ბაზის რუკა და ბმული (დანართი 2, სურათი).

ველზე მომუშავე მკვლევართა კავშირის მონაცემთა რუკა და ბმული (მხოლოდ წვრილი ძუძუმწოვრებისათვის, დანართი 2, სურათი).

Bibliography - გამოყენებული ლიტერატურა

Citation - მომხმარებელს საშუალებას აძლევს მარტივად მოახდინოს კონკრეტული ტაქსონის ვებგვერდის და წვდომის თარიღის ციტირება.

კავშირი სხვა მონაცემთა ბაზებთან

ფაუნა ევროპეა

ფაუნა ევროპეა (<http://www.faunaeur.org/>) წარმოადგენს ევროკომისიის დაფინანსებულ პროექტს, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ევროპაში გავრცელებული მრავალუჯრედიანი, ხმელეთის და მტკნარი წყლების ცხოველების სამეცნიერო კლასიფიკაციის და გავრცლების შესახებ. სამეცნიერო სახელები მოიცავს როგორც ვალიდურ სახელებს, ასევე სინონიმებს (Fauna Europaea, 2014). ფაუნა ევროპეას ნაწილობრივ მოიცავს საქართველოში გავრცელებულ ცხოველებსაც, ასეთი სახეობები შესაბამისობაშია მოყვანილი ფაუნა ევროპეასთან (<http://www.faunaeur.org/>) რომელიც განხორციელდა ეკოლოგიის ინსტიტუტსა და PESI შორისთანამშრომლობის პროცეში (Pan-European Species Inventories, <http://www.eu-nomen.eu/pesi/>). თითოეული სახეობა ბმულით უკავშირდება ფაუნა ევროპეას შესაბამისი სახეობის ვებ გვერდს. რომელზეც შესაძლებელია სახეობის ვალიდურობის სტატუსის გადამოწმება, სინონიმების და სრულიტაქსონომიის ნახვა.

გლობალური ბიომრავალფეროვნების ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (GBIF)

გლობალური ბიომრავალფეროვნების ინფორმაციის მონაცემთაბაზა (GBIF) წარმოადგენს საერთაშორისო ღია მონაცემთა ინფრასტრუქტურას, რომელიც დაფინანსებულია სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მიერ. მონაცემთა ბაზა საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს და ორგანიზაციებს გააზიარონ სტანდარტიზებულ ფორმატში ინფორმაციო ბიომრავალფეროვნების შესახებ. ამჟამად მონაცემთა ბაზა 1.5 მილიონ სახეობას და მთი გავრცელების, 500 მილიონზე მეტ გეორეფერირებულ წერტილს შეიცავს (GBIF. 2014).

საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის თითეოული სახეობა ბმულით უკავშირდება GBIF-ს მონაცემთა ბაზას და ინტერაქტიული რუკის მეშვეობით აჩვენებს GBIF-ში არსებულ რეგისტრაციის წერტილებს. რუკის მეშვეობით შესაძლებელია გადასვლა GBIF-ის მონაცემთა ბაზაზე (**სურათი 40**).

ველზე მომუშავე მკვლევართა კავშირი – "CAMPESTER"

ველზე მომუშავე მკვლევართა კავშირი "CAMPESTER" არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მისიაა ძუძუმწოვრების და ფრინველების შესწავლა და კონსერვაცია, ასევე ბიომრავალფეროვნებისა და ისტორიული ძეგლების კონსერვაცია. "CAMPESTER"-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინაფორმაცია საქართველოში გავრცელებული წვრილი ძუძუმწოვრების შესახებ. 2014 წლიდან საქართველოს ბიომრავალფეროვნების ბაზა დაკავშირებულია "CAMPESTER"-ის ვებ გვერდთან და ბიომრავალფეროვნების ბაზის შესაბამისი სახეობების ვებგვერდზე გამოაქვს ინფორმაცია გავრცელების შესახებ. ორიგინალურ წყაროზე გადასვლა შესაძლებელია გავრცელების რუკის მეშვეობით.

ქვეპროექტები

დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანების მონაცემთა ბაზა

ვებ გვერდის მისამართი: <http://vectors.biodiversity-georgia.net/>

2013 წელს მონაცემთა ბაზას დაემატა განსაკუთრებულად საშიში პათოგენების ვექტორების მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს 67 სახეობას (წვდომის თარიღი: 5 ოქტ 2014).



სურათი 9. *Ixodes ricinus*-ის რეგისტრაციის წერტილები დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანების მონაცემთა ბაზიდან (Chaladze & Shavadze, 2013).

დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანების მონაცემთა ბაზა წარმოაგდენს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ნაწილს (www.biodiversity-georgia.net), რომელშიც გაერთიანებულია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანები.

თითოეული სახეობის გვერდი მდებარეობს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში და შეიცავს მინიმუმ ტაქსონომიურ ინფორმაციას. ზოგიერთი სახეობისათვის მოცემულია რეგისტრირებული გავრცელების წერტილები (სურათი 9, სურათი 41), ასევე მოდელირებული გავრცელების რუკა. ინფორმაცია გავრცელების შესახებ შეკრებილია სხვადასხვა ლიტერატურიდან (წყაროები მითითებულია კონკრეტული სახეობის გვერდზე).

საიტზე არსებული ნებისმიერი მასალის და ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელი ავტორებთან შეთანხმების გარეშე, თანამშრომლობით დაინტერერესებულ მკვლევარებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მონაცემთა ბაზის განახლება/შევსებაში - გავრცელების, დაავადებების შესახებ ინფორმაციის დამატებით, დაავადებების პრევენციის შესახებ ინფორმაციით, სურათებით ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზის შესაბამისი ინფორმაციით.

წითელი ნუსხა

ვებ გვერდის მისამართი: <http://biodiversity-georgia.net/index.php?redlist=1>



Omophron limbatum



Omophron limbatum



Typical habitat of O. limbatum

Accepted name: *Omophron limbatum* Fabricius, 1776

Georgian name: მრგვალი ბზუალა

Taxonomic rank: Species

Reference: N. Reck, G. Chaladze. 2004. Check-list of the ground beetles of Georgia. Proceedings of the Institute of Zoology of Georgia, V. XXII, p. 127-157.

National Red list status: EN

Editor/Contact Person: Giorgi Chaladze

Contact address: giorgi.chaladze@gmail.com

სურათი 10. *Omophron limbatum*-ის გვერდი, ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ქვეპროექტის წითელი ნუსხის ნაწილი.

ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ვებგვერდზე განთავსებულია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობების სია. მთავარი გვერდი შეიცავს ლათინურ და ქართულ სახელებს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტატუსებს (სურათი 10, სურათი 42). წითელი ნუსხის სახეობები საქართველოში განისაზღვრება კანონით „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ და საქართველოს პრეზიდენტის №303 2006 წლის 2 მაისის ბრძანებულება. „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“. საქართველოს წითელი ნუსხა იყენებს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კატეგორიების და კრიტერიუმებს (IUCN, 2001) და ამავე კავშირის რეკომენდაციებს რეგიონული და ეროვნული წითელი ნუსხებისათვის (IUCN, 2003).

ზოგიერთი სახეობის პოპულაციის ზომები

ვებ გვერდის მისამართი: <http://www.biodiversity-georgia.net/index.php?NBMS=1>

ქვეპროექტი დაფინანსებულია GIZ-ის კავკასიის ოფისის მიერ, სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პროექტის ფარგლებში. ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია შერჩეული სახეობების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული კონსერვაციული ან ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნიათ. სახეობები განსაზღვრულია აკადემიური საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის და სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის შედეგად 2008 წელს.

შედეგები

საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა შეიცავს 10174 სახეობას, აქედან ცხოველები - 4417 სახეობა, მცენარეები - 5118 სახეობა და სოკოები - 639 სახეობა. დეტალური ინფორმაცია ძირითადი ჯგუფების სახეობრივი მრავალფეროვნების დაფარვის ხარისხი მოცემულია დანართში (ცხრილი 9, ცხრილი 10, 25/02/2015 მონაცემები). მონაცემთა ბაზაშია წარმოდგენილი სახეობების გვერდებზე ინფორმაცია არ არის ერთგვაროვანი, ზოგიერთი სახეობის შესახებ შევსებულია ყველა

შესაძლო გვერდი, ხოლო ზოგიერთისთვის მოყვანილია მხოლოდ ვალიდური სახელი და ტაქსონომიური სტატუსი.

მონაცემთა ბაზა შეიცავს 2299 ორიგინალურ ფოტოს, რომელიც ეკუთვნის 975 ტაქსონს (გადაღებული და ატვირთული სხვადასხვა ავტორების მიერ). ავტორის მიერ ბაზაში ატვირთული რამდენიმე ფოტოს ნიმუში მოცემულია დანართში (სურათი 43).

ქართული სახელწოდებები განთავსებულია 5575 ტაქსონისთვის, აქედან 4983 ქართული სახელი სახეობისაა ხოლო დანარჩენი მაღალი რანგის ტაქსონების. 4308 სახეობას აქვს გავრცელების წერტილები და 48 სახეობას აქვს გავრცელების რუკა.

ვიზიტორების სტატისტიკა

2010 წლის 1 სექტემბერიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე საიტს ესტუმრა 34,946 უნიკალური ვიზიტორი და დაათვალიერა 181,215 გვერდი, თითოეულმა მათგანმა საშუალოდ საიტზე გაატარა 2 წუთი და 37 წამი. ვიზიტორების 46%-მა დაათვალიერა ერთზე მეტი გვერდი, საშუალოდ ერთმა ვიზიტორმა დაათვალიერა 3.93 გვერდი. მომხმარებლების 24,2% ერთზე მეტჯერ ეწვია ვებგვერდს.


ვებგვერდს ესტუმრნენ ვიზიტორები 153 ქვეყნიდან (სურათი 11), აქედან ყველაზე მეტი ვიზიტორი საქართველოდან (7,634 (16.54%)), აშშ-დან (4,219(9.14%)), გერმანიიდან (2,749(5.96%)) და თურქეთიდან (2,301(4.99%)).

საძიებო სისტემები 9420 საძიებო სიტყვის საპასუხოდ აგზავნიდნენ ვიზიტორებს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის გვერდზე. დანართში (ცხრილი 11) მოყვანილია 50 ყველაზე გავრცელებული საძიებო ფრაზა.

ყველაზე ხშირად საძიებო სისტემები ვიზიტორებს აგზავნიან როდესაც მომხმარებელი ეძებს: ინფორმაციას საქართველოს ბიომრავალფეროვნებაზე (georgian biodiversity - 0,31 %; georgia biodiversity - 0,25%; biodiversity in georgia 0,21 %; biodiversity

georgia – 0,25 %), ან უშუალოდ ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის საიტს (georgia database biodiversity – 0,22 %; biodiversity-georgia 0,17%).

ცხოველებიდან ყველაზე ხშირად ეძებენ: კავკასიურ სალამანდრას (*mertensiella caucasica* - 0.79%), ნიამორს (*capra aegagrus* - 0.39%) და ხოჭოებს (*coleoptera* - 0.34%); მცენარეებიდან: წიფელას (*fagus orientalis* - 0.51%); თხილს (*corylus avellana* - 0.48%); კავკასიურ ხარისძირას (*helleborus caucasicus* - 0.32%) და კანაფს (*cannabis sativa*- 0.27%);



სურათი 11. მონაცემთა ბაზის ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე Google Analytics-ის მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა

Angus (R.B.), Brown (R.E.) & Bryant (L.J.), 2000.— Chromosomes and identification of the sibling species *Pterostichus nigrita* (Paykull) and *P. rhaeticus* Heer. *Systematic Entomology*, 25: 325–337.

Antweb.org,. 'Antweb'. N.p., 2015. Web. 1 Feb. 2015.

Berlov (O.E.), 1992.— Preparati permanenti a secco dell'endofallo nel genere *Carabus* L. (Coleoptera, Carabidae). *Bulletino della Società entomologica italiana*, 124 (2): 141–143, 4 fig.

Chantladze T. 2000. - The Catalogue of Clickbeetles (Coleoptera, Elateridae) of Georgia, Proc Instit Zool 23:130–146

Chapman, A. D. (2009). Numbers of Living Species in Australia and the World (PDF) (2nd ed.). Canberra: Australian Biological Resources Study. pp. 1–80. ISBN 978 0 642 56861 8.

Costello, M. J., May, R. M., & Stork, N. E. (2013). Can we name Earth's species before they go extinct?. *science*, 339(6118), 413-416.

Chaladze, G., Shavadze, I., 2013. [http://www.biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Ixodes_ricinus]. *Ixodes ricinus*. in: Tarkhnishvili D, Chaladze G (Editors). 2013. Georgian biodiversity database. <http://www.biodiversity-georgia.net/>. Downloaded on: 5 March 2015

Eol.org,. 'Encyclopedia Of Life - Animals - Plants - Pictures & Information'. N.p., 2015. Web. 1 Feb. 2015.

Eu-nomen.eu,. 'PESI Portal - Home'. N.p., 2015. Web. 1 Feb. 2015.

Fauna Europaea. 2014. About Fauna Europaea.
http://www.faunaeur.org/about_fauna_intro.php. წვდომის თარიღი: 2013-08-19

Gagnidze, R. I. (2005). Vascular plants of Georgia: a nomenclatural checklist. Tbilisi: Georgian Academy of Sciences.

GBIF. 2014. What is GBIF. <http://www.gbif.org/whatisgbif>. წვდომის თარიღი: 2013-08-19

Giz.de . GmbH, Deutsche. 'Georgia'. Giz.de. N.p., 2015. Web. 1 Feb. 2015.

Gratiashvili N, Barjadze Sh (2008) Checklist of the ants (Formicidae Latreille, 1809) of Georgia. Proc Instit Zool 23:130–146

Grdf.ge,. 'GRDF | Georgian Research & Development Foundation'. N.p., 2015. Web. 1 Feb.

Ide, Andy. 2013. "PHP just grows & grows". <http://news.netcraft.com/archives/2013/01/31/php-just-grows-grows.html> წვდომის თარიღი: 2015-01-07.

IUCN. 2001. IUCN Red List Categories and Criteria: Version 3.1. IUCN Species Survival Commission. IUCN, Gland, Switzerland and Cambridge, UK.

IUCN. 2003. Guidelines for Application of IUCN Red List Criteria at Regional Levels: Version 3.0. IUCN Species Survival Commission. IUCN, Gland, Switzerland and Cambridge, UK.

Linnaeus, Carolus (1758). *Systema naturae per regna tria naturae :secundum classes, ordines, genera, species, cum characteribus, differentiis, synonymis, locis* (in Latin) (10th ed.). Stockholm: Laurentius Salvius.

Maddison, D. R., K.-S. Schulz, and W. P. Maddison. 2007. The Tree of Life Web Project. Pages 19-40 in: Zhang, Z.-Q. & Shear, W.A., eds. Linnaeus Tercentenary: Progress in Invertebrate Taxonomy. Zootaxa 1668:1-766.

Merkviladze, M.& Kvavadze, E. 2002. List of ladibirds (Coleoptera, Coccinellidae) of Georgia. Proceedings of the Institute of Zoology, Tbilisi, XXI: 149-154

mysql.com,. 'Mysql :: Mysql 5.1 Reference Manual :: 1.3.1 What Is Mysql?'. N.p., 2015. Web. 30 Jan. 2015.

Otto, S. & Tramp, S., (2012) Caucasian Spiders - A Faunistic Database on the Spiders of the Caucasus, <<http://db.caucasus-spiders.info>>.

Php.net,. 'PHP: What Can PHP Do? - Manual'. N.p., 2015. Web. 30 Jan. 2015

Reck N, Chaladze, G. 2004. Checklist of the Ground Beetles (Coleoptera, Carabidae) of Georgia. Proceedings of The Institute Of Zoology Of Georgia, 127-157

Species.wikimedia.org,. 'Wikispecies, Free Species Directory'. N.p., 2015. Web. 1 Feb. 2015.

Tinymce.com,. 'Tinymce - Home'. N.p., 2014. Web. 31 Jan. 2015.

Trautner, J. Geigenmueller, K. 1987. Tiger Beetles, Ground Beetles (Illustrated Key to the Cicindelidae and Carabidae of Europe). Germany, Aichtal, J.Margraf Publishing. 487 p.

Williams, L., Zazanashvili, N., Sanadiradze, G., & Kandaurov, A. (2006). An ecoregional conservation plan for the Caucasus. *WWF Caucasus Programme Office, Tbilisi*.

Гурьева, Е.Л. 1979. Фауна СССР. Жесткокрылые. Т. 12, вып. 4. Жуки-щелкуны (Elateridae). Подсемейство Elaterinae. Трибы Megapenthini, Physorhinini, Ampedini, Elaterini, Pomachiliini. Л.: Наука,. - 453 с.

Джамбазишивили М. Я. 2000. Каталог жуков чернотелок (Coleoptera, Tenebrionidae) Грузии р.192. Proceedings of The Institute of Zoology of Georgia, V 20.

Джамбазишивили Я. С. Каталог пластинчатоусых жуков (Coleoptera: Scarabidae, Troginae, Geotrupinae, Hybosoridae, Ochodaeinae, Aphodiinae) Грузии.....180-184

Зайцев, Ф.А. 1953. Плавунцовые и вертячки. Фауна СССР. Жесткокрылые. Т. IV. М.-Л., Изд. АН СССР. 378 с.

Крыжановский, О.Л. 1983. Фауна СССР. Жесткокрылые. Т. I, вып. 2. Жуки подотряда Adephaga (часть 1). Л., Изд. АН СССР. 341 с.

Медведев, Г.С. 1968. Жуки-чернотелки (Tenebrionidae). Подсем. Opatrinae. трибы Platynotini, Dendarini, Pedinini, Disconomini, Pachypterini, Opatrini (часть) и Heterotarsini. Фауна СССР. Жесткокрылые. Т. XIX, вып. 2. М.-Л., Изд. "Наука". 285 с.

Медведев, С.И. 1952. Пластинчаторусые (Scarabaeidae). Подсем. Melolonthinae, часть 2 (хрущи). Фауна СССР. Жесткокрылые. Т. X, вып. 2. М.-Л., Изд. АН СССР. 276 с.

საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ 06/06/2003

საქართველოს პრეზიდენტის №303 2006 წლის 2 მაისის ბრძანებულება. „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“

ღონისძიებების განვითარებისა და სოფლის მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2007. PHP. ვიკიწიგნების ბიბლიოთეკიდან. Itmania.ge

ჭიანველების ბიომრავალფეროვნების მოდელი
საქართველოსთვის



ამ თავში მოყვანილი ინფორმაცია და ფოტოსურათები აღებულია ავტორის პუბლიკაციიდან, მცირედი ცვლილებებით: Chaladze, G. (2012). Climate-based model of spatial pattern of the species richness of ants in Georgia. *Journal of Insect Conservation*, 16(5), 791-800.

შესავალი

ჭიანჭველები მიეკუთვნებიან სიფრიფანაფრთიანების რიგს, ოჯახ *Formicidae*-ს, ყველა ცნობილი სახეობა სოციალური მწერია: ცხოვრობენ კოლონიებში და ჰყავთ რეპროდუქციული კასტები. ჭიანჭველების კოლონიაში ერთი ან რამდენიმე ნაყოფიერი მდედრია რომლებიც კვერცხებს დებენ. საკვების მოგროვება, ბუდის მშენებლობა და ლარვების გამოკვებვაზე მუშა ჭიანჭველები ზრუნავენ. მუშა ჭიანჭველები მდედრობითი სქესის ინდივიდებს წარმოადგენენ, რომლებსაც არ აქვთ ბოლომდე განვითარებული რეპროდუქციული ორგანოები. ჭიანჭველები გავრცელებული არიან დედამიწის ყველა რეგიონის ხმელეთის ეკოსისტემაში, გარდა ანტარქტიკის და რამდენიმე კუნძულისა. ამჟამად ცნობილია ჭიანჭველების ათი ათასამდე სახეობა და სავარაუდოდ ამდენივე მეცნიერებისთვის უცნობია. ჭიანჭველები წარმოადგენენ საშუალოდ ხმელეთის ცხოველების ბიომასის 15-25 %, ხოლო ტროპიკუებში ჭიანჭველების წილი 25%-ზე მეტია (Schultz, 2000).

გლობალური მასშტაბით ჭიანჭველების სახეობრივი მრავალფეროვნება დადებით კორელაციაშია ტემპერატურასთან და უარყოფითშია ნალექებთან (Dunn *et al.* 2009).


საქართველოში ჭიანველების ფაუნისტური კვლევები მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო (Gratiashvili & Barjadze, 2008). კვლევის შედეგად დაგროვდა დიდი რაოდენობით ინფორმაცია გავრცელლების შესახებ (Gratiashvili & Barjadze, 2008) თუმცა მრავალფეროვნების სივრცობრივი განაწილება გაანალიზებული არ ყოფილა.

კვლევაში მოცემულია ჭიანჭველების სივრცობრივი განაწილების მოდელი და გაანალიზებულია თუ რა ფაქტორები განაპირობებს ამ განაწილებას.

მასალა და მეთოდიკა

საკვლევი ტერიტორია

საკვლევი ტერიტორია მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას (სურათი 12).



სურათი 12. საკვლევი ტერიტორია და კვლევაში გამოყენებული ჭიანჭველების გავრცელების წერტილები.

ინდივიდუალური მოდელების კომპიუტერული პროგრამა და ალგორითმი

მოდელირება განხორციელდა პროგრამა openModeller-ის მეშვეობით. პროგრამით შესაძლებელია ცალკეული სახეობის გავრცელების არეალის მოდელირება, შემდეგ კი ამ ინდივიდუალური მოდელების დაჯამება. (Munoz *et al.* 2009). ინდივიდუალური მოდლების შესაქმნელად გამოყენებულია გარპის ალგორითმი (GARP) (Stockwell 1999; Stockwell and Peters 1999).

ინდივიდუალური მოდელების სიზუსტის შეფასება

გარსიას (Garcia, 2006) რეკომენდაციის მიხედვით ინდივიდუალური გავრცელებები მოდელირებულია მხოლოდ იმ სახეობებისათვის, რომელთათვის ცნობილი იყო სულ მცირე 5 წერტილი. მოდელების სიზუსტე შეფასებულია AUC (area under the receiver operator curve) მიხედვით. ROC მრუდით (Swets, 1986). Swets (1986) რეკომენდაციის მიხედვით ის მოდელები რომელთათვის AUC -ს მნიშვნელობა 0.7-ზე ნაკლებია გამორიცხულია შემდგომი ანალიზიდან. ბინარული ინდივიდუალური მოდელები დაჯამდა ბიომრავალფეროვნების სივრცული მოდელის მისაღებად.

კლიმატური შრეები

მოდელირებისას გამოყენებულია WorldClim ვერსია 1.4-ის 19 კლიმატური პარამეტრი (1) საშუალო წლიური ტემპერატურა, (2) ტემპერატურის ცვალებადობის საშუალო დღიური ზღვარი, (3) იზოთერმალურობა, (4) ტემპერატურის სეზონურობა, (5) ყველაზე თბილი თვის მაქსიმალური ტემპერატურა, (6) ყველაზე ცივი თვის მინიმალური ტემპერატურა, (7) ტემპერატურის ცვალებადობის წლიური ზღვრები, (8) ყველაზე ტენიანი კვარტალის საშუალო ტემპერატურა, (9) ყველაზე მშრალი კვარტალის საშუალო ტემპერატურა, (10) ყველაზე თბილი კვარტალის საშუალო ტემპერატურა, (11) ყველაზე ცივი კვარტალის საშუალო ტემპერატურა, (12) წლიური ნალექები, (13) ყველაზე ტენიანი თვის ნალექები, (14) ყველაზე მშრალი თვის ნალექები, (15) ნალექების სეზონურობა, (16) ყველაზე ტენიანი კვარტალის ნალექები, (17) ყველაზე მშრალი კვარტალის ნალექები, (18) ყველაზე თბილი კვარტალის ნალექები, (19) ყველაზე ცივი კვარტალის ნალექები შრეების რეზოლუციაა 1 კმ. (Hijmans *et al.* 2005).

რეგრესიული ხის ანალიზი სახეობების რაოდენობას და ეკოლოგიური პარამეტრებს შორის CHAID (Chi-squared Automatic Interaction Detector, Kass 1980) ალგორითმის მეშვეობით განხორციელდა. CHAID ალგორითმი არაპარემეტრული ანალიზია და

ამიტომ არ მოითხოვს რაიმე დაშვებას მონაცემების განაწილების შესახებ. (Van Diepen and Franses 2006).


პროგრომა (SPSS v.16) იქნა გამოყენებული სტატისტიკური ანალიზისთვის. F ტესტში სარწმუნების 5% იანი ზღვარი იქნა აღებული, შვილი ნოდების მაქსიმალური რაოდენობა სამი, ხოლო ნოდებში შემთხვევის მინიმალური რაოდენობა შვილი ნოდისათვის 50. ანალიზი განხორციელდა (1) თითოეული პარამეტრისათვის ცალცალკე და (2) ყველა პარამეტრის გამოყენებით. Arcview 3.1-ის მეშვეობით მოხდა რუკების დამზადება და კლიმატური შრეებიდან მონაცემების ამოკრებვა.

ნიადაგის პოტენციური ტენიანობის (PGM) შრე მომაწოდა ლექსო გავაშელიშვილმა, რომელიც გამოთვლილია შემდეგი ფორმულის მიხედვით: PGM = MP -PET; სადაც MP = თვიური ნალექები, PET = პოტენციური ევაპოტრანსპირაცია; PET = თვის საშუალო ტემპერატურა \times 4.910833333, თუ თვის საშუალო ტემპერატურა 0°C -ზე მეტია, სხვა შემთხვევაში ნულის ტოლია (Thornthwaite 1948; Thornthwaite & Mather 1957).

ზღვის დონიდან სიმაღლის შრე ჩამოვტვირთე WorldClim ვებ გვერდიდან (Hijmans *et al.* 2005), რეზოლუცია ერთი კმ.

შედეგები

კვლევაში გამოყენებული 72 სახეობის მოდელიდან 63-მა გაიარა ვალიდაცია (AUC>0.7). AUC საშუალო მნიშვნელობა იყო 0,87 და საშუალო სიზუსტე 80 %. სახეობების რაოდენობა არ იყო თანაბრად განაწილებული საკვლევ ტერიტორიაზე (სურათი 15 a) და თითოეულ წერტილში მერყეობდა 2-დან 63-მდე, საშუალო მნიშვნელობა 36.



სურათი 13. ჭიანჭველების სახეობრივი მრავალფეროვნების განაწილება სიმაღლის მიხედვით.

სახეობების რაოდენობამ აჩვენა არაწრფივი კავშირი სიმაღლესთან, კარგად გამოკვეთილი პიკით საშუალო (800-1200 მ.) სიმაღლეზე (სურათი 13). ყველაზე ნაკლები სახეობრივი მრავალფეროვნება პროგნოზირებულია მაღალი (>2500 მ.) და დაბალი (<500 მ.) სიმაღლეებისთვის. ყველაზე მაღალი მრავალფეროვნება მოსალოდნელია 500 – 1500 მ. სიმაღლეზე.

სახეობრივი მრავალფეროვნება დადებით კორელაციაში იყო ტემპერატურასთან დაკავშირებულ ცვლადებთან და უარყოფით კორელაციაში ნალექებთან დაკავშირებულ ცვლადებთან.

რეგრესიულმა ანალიზმა, რომელიც შეიცავდა 21 ცვლადს გამოავლინა სახეობრივი მრავალფეროვნების ოთხი მნიშვნელოვანი პრედიქტორი: სიმაღლე ზღვის დონიდან, ყველაზე მშრალი კვარტალის ნალექები, ყველაზე ცივი კვარტალის ნალექები და წლიური ნალექები ($R^2 = 0.827$, SEE = 3.006).

ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორია სიმაღლე ზღვის დონიდან ($P < 0.001$). მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ტენიანობა, თუმცა სხვადასხვა სეზონის ტენიანობაა მნიშვნელოვანი სხვადასხვა სიმაღლეზე: (1) დაბალ სიმაღლეებზე (< 393 მ.) მნიშვნელოვანია ყველაზე მშრალი კვარტალის ნალექები. მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნება (38.055 ± 5.009) პროგნოზირებულია მაშინ როდესაც ყველაზე მშრალი კვარტალის ნალექები 110-დან 291 მმ-ს მორის არის; (2) საშუალო სიმაღლეებზე ($639-1,107$ მ) მნიშვნელოვანია ყველაზე ცივი თვის ნალექები - ყველაზე მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნება (55.25 ± 4.818) პროგნოზირებულია იმ ტერიტორიებისთვის სადაც ყველაზე ცივი თვის ნალექები 200 მმ-ზე ნაკლებია; (3) ზღვის დონიდან მაღალ სიმაღლეზე ($1,382-1,691$ მ) წლიური ნალექებია მნიშვნელოვანი, მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნება (46.5 ± 5.08) პროგნოზირებულია სადაც წლიური ნალექები 920 მმ-ზე ნაკლებია.

დისკუსია

ჭიანჭველების სახეობრივი მრავალფეროვნება, როგორც სხვა ცხოველების ჯგუფების შემთხვევაში ძლიერ არის დამოკიდებული კლიმატზე. ძირითადად ეს გამოიხატება დადებით კორელაციაში ტემპერატურასთან და უარყოფითი კორელაციით ნალექებთან და ტემპერატურის ცვალებადობასთან. ეს კავშირი არსებობს როგორც გლობალურ დონეზე (Dunn *et al.* 2007; Dunn *et al.* 2009), ასევე ლოკალურად (Wielgoss *et al.* 2010). წინამდებარე კვლევაში სახეობრივი მრავალფეროვნება დადებითად იყო დამოკიდებული ტემპერატურასთან ასოცირებულ ცვლადებზე, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია სხვადასხვა ცვლადების კომბინაცია. ცხრილი 4-ში წარმოდგენილია


საშუალო წლიური ნალექების და წლიური ტემპერატურის მიხედვით სახეობების რაოდენობის განაწილება. ცხრილში ჩანს კარგად გამოკვეთილი ცენტრი სადაც სახეობების რაოდენობა მაქსიმალურია და იკლებს ყველა მიმართულებით. ერთიდაიგივე ტემპერატურისათვის სახეობების რაოდენობა მეტია იქ სადაც ნალექების რაოდენობა ნაკლებია. ერთიდაიგივე ნალექების შემთხვევაში სახეობების რაოდენობა იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად, თუმცა გარკვეული მნიშვნელობის შემდეგ სახეობების რაოდენობა იკლებს. ეს შესაძლოა ასახავდეს სახეობრივი სიმრავლის დამოკიდებულებას ტენიანობაზე. თუ ტემპერატურა მაღალია, წყლის აორთქლებაც უფრო ინტენსიური ხდება და შესაბამისად მცირდება ნიადაგის ტენიანობა.

სურათი 14-ზე ნაჩვენებია სახეობების რაოდენობის დამოკიდებულება ნიადაგის პოტენციურ ტენიანობაზე (Thornthwaite, 1948; Thornthwaite & Mather, 1957). სახეობების რაოდენობა მცირდება ოპტიმალური მნიშვნელობიდან ორივე მხარეს. ბევრი სახეობის ჭიანჭველას აქვს უნარი შეცვალოს კლიმატი ბუდის შიგნით (Frouz, 2000; Frouz & Finer, 2007; McCahon & Lockwood, 1990). ეს მიიღწევა ან სადრენაჟო სისტემის მოწყობით ან პირიქით წვიმის წყლის შესაგროვებელი ორმოების მეშვეობით (Green *et al.* 1999; Frouz & Jilkova, 2008). მიუხედავად ამისა ნიადაგის ტენიანობა მაინც მოქმედებს ჭიანჭველების სახეობრივ მრავალფეროვნებაზე.

ცხრილი 4. საშუალო წლიური ნალექები (მმ), წლიური ტემპერატურა ($^{\circ}\text{C}$) და სახეობების რაოდენობა. მუქი ტონები მიუთითებს მაღალ სახეობრივ მრავალფეროვნებას, ციფრები მიუთითებს სახეობების რაოდენობას.

წლიური ტემპერატურა	-2	-1	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
საშუალო წლიური ნალექები	400																	
500																	4	1
600																43	33	35
700																29	21	4
																18	14	
																4	7	11
																25	34	41
																44	47	46
																40	38	44
																43	40	43
																35	35	43
																18	14	30
																42	38	45

800	2	2	3	13	17	32	37	43	44	44	42	39	37	37
900	3	3	3	3	14	13	33	33	40	41	41	40	39	
1000	3	3	3	4	7	15	23	32	39	39	41	37	35	36
1100				5	5	8	19	36	34	33	39	37	36	36
1200					8	16			34	27	34	33	33	34
1300												33	34	34
1400													27	37
1500													32	28
1600													28	30
1700													30	27
1800													27	30
1900													25	26
2000													22	24
2100														23
2200														21
2300														10
2400														17
ს.ზ.დ. (მ)	2983	2811	2644	2465	2262	2048	1834	1681	1450	1292	1096	953	814	724
	571	397	175	53										



წიაღაგის პოტენციური ტერიანობის ინდექსი

სურათი 14. ჭიანჭველების სახეობების რაოდენობის დამოკიდებულება წიაღაგის ტენიანობის ინდექსზე.


მრავალი კვლევა მიუთითებს, რომ სახეობების რაოდენობა მკვეთრად არის დამოკიდებული სიმაღლეზე ზღვის დონიდან; თუმცა, სახეობრივი მრავალფეროვნება სხვადასხვანაირად არის დამოკიდებული სიმაღლეზე: იზრდება, მცირდება ან აქვს პიკი საშუალო სიმაღლეზე (Samson *et al.* 1997; Olson, 1994; Sanders *et al.* 2003; Sabu *et al.* 2008). Bruhl *et al.* (1999) შეისწავლეს მაღაიზიაში ნიადაგის საფენის ჭიანჭველების თანასაზოგადოებები სიმაღლის გრადიენტის მიხედვით. სახეობრივი მრავალფეროვნება მცირდებოდა სიმაღლის ზრდასთან ერთად, საშუალო სიმაღლეზე პიკის გარეშე. Anders *et al.* (2003) გამოიკვლიერ სამხრეთ ნევადას სამ ხეობაში ჭიანჭველების სახეობრივი მრავალფეროვნების ცვლილება სიმაღლესთან ერთად, აქედან ორ ხეობაში სახეობრივი მრავალფეროვნება მხოლოდ იზრდებოდა სიმაღლესთან ერთად, ხოლო ერთ ხეობაში ჰქონდა გამოკვეთილი პიკი საშუალო სიმაღლეზე. სიმაღლის მიხედვით სახეობრივი მრავალფეროვნების განაწილების ასახსნელად რამდენიმე ვერსია არსებობს, როგორიცაა: კლიმატის პირდაპირი გავლენა (Krebs, 2001); არაპირდაპირი ეფექტი პირველადი პროდუქტიულობის მიხედვით - მაღალი ეკოსისტემის პროდუქტიულბა უზრუნველყოფს პოპულაციის მაღალ სიმჭდროვეს და შესაბამისად ამცირებს ამოწყდომის ალბათობას (Janzen, 1973; Siemann, 1998; Srivastava & Lawton, 1998; Kaspari & Majer, 2000); ანთროპოგენული ფაქტორი (Sanders *et al.* 2003).

წინამდებარე კვლევაში სიმაღლის მიხედვით სახეობრივ მრავლფეროვნებას ჰქონდას კარგად გამოკვეთილი პიკი საშალო სიმაღლეზე (800-1200 მ.). სახეობრივი მრავალფეროვნება მცირდება ამ სიმაღლიდან კლებასთან და ზრდასთან ერთად.

სურათი 15-ზე ნაჩვენებია ჭიანჭველებისათვის ოპტიმალური სიმაღლის განაწილება სივრცეში. მიუხედავად იმისა რომ სიმაღლე არ არის ერთადერთი ფაქტორი, შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი დასკვნის გაკეთება. ყველაზე მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნება სავარაუდოა ოპტიმალური ტერიტორიის ყველაზე დიდ და ცენტრალურ ნაწილში. (სურათი 15 b, ტერიტორია 6), ხოლო ტერიტორიებითვის რომლებიც ასევე ოპტიმალურ სიმაღლეზეა, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა, ან

გარშემორტყმულია არაოპტიმალური ტერიტორიით დაბალი სახეობრივი მრავალფეროვნებაა პროგნზირებული.

ჭიანჭველების მოდელირებული სახეობრივი მრავალფეროვნების (სურათი 15 a) და ოპტიმალური სიმაღლის განაწილების (სურათი 15 b) შედარებისას ჩანს რომ დასავლეთ საქართველოში ხელსაყრელი სიმაღლეა თუმცა არ არის მაღალი სახეობების რაოდენობით დაკავებული, რაც სავარაუდოდ განპირობებულია ლიხის ქედით (სურათი 15 b, 2) რომელის წარმოადგენს არაოპტიმალურ ბარიერს და სავარაუდოდ ხელს უშლის სახეობების მიგრაციას.



სურათი 15. а. ჭიანჭველების მოდელირებული სახეობრივი მრავალფეროვნება. ღია ფერი მიუთითებს მაღალ მრავალფეროვნებას, მუქი ფერები დაბალ მრავალფეროვნებას. б. ჭიანჭველებისთვის ოპტიმალური სიმაღლის განაწილება სივრცეში, ღია ფერი მუთითებს ოპტიმალურ სიმაღლეს (800-1200 მ.), მუქი ფერები მიუთითებს გადახრას ოპტიმალური სიმაღლიდან. 1, 3 არახელსაყრელი კლიმატური პირობები; 2 ლიხის ქედი; 4, 5, 7, 8 ხელსაყრელი კლიმატური პირობები გარშემორტყმული არახელსაყრელი პირობებით; 6 ოპტიმალური პირობების ცენტრალური ნაწილი, ჯვარედინი ქსელით ნაჩვენებია ყველაზე მაღალი მრავალფეროვნების არეები.

სახეობრივი მრავალფეროვნების სივრცობრივი განაწილება ერთნაირი არაა სხვადასხვა ტაქსონებისთვის, მაგრამ კორელირებენ ერთმანეთთან (Toranza & Arim, 2010;

Newbold *et al.* 2009, Garcia, 2006). ამიტომ, მოსალოდნელია რომ წინამდებარე კვლევაში გამოვლენილი მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნების არეები სხვა ტაქსონებისთვისაც იქნება ხელსაყელი.

გამოყენებული ლიტერატურა

Agosti, D., J.D. Majer, L.E. Alonso, T. R. Schultz (eds.). 2000. Ants: Standard Methods for Measuring and Monitoring Biological Diversity. Smithsonian Institution Press. Washington, D.C

Carsten A. Brühl , Maryati Mohamed and K. Eduard Linsenmair, 1999. Altitudinal distribution of leaf litter ants along a transect in primary forests on Mount Kinabalu, Sabah, Malaysia. Journal of Tropical Ecology, 15: 265-277

Ceballos, G., Brown, J.H., 1995. Global patterns of mammalian diversity, endemism, and endangerment. Conservation Biology 9, 559–568.

Douglas A. Samson,, Eric A. Rickart, Pedro C. Gonzales, 1997, Ant Diversity and Abundance along an Elevational Gradient in the Philippines, Biotropica , Volume 29, Issue 3, pages 349–363

Dunn, R.R., N.J. Sanders, S.B. Menke, M.D. Weiser, M.C. Fitzpatrick, E. Laurent, J.-P. Lessard, D. Agosti, A. Andersen, C. Bruhl, X. Cerda, A. Ellison, B. Fisher, H. Gibb, N. Gotelli, A. Gove, B. Guénard, M. Janda, M. Kaspari, J.T. Longino, J. Majer, T.P. McGlynn, S.B. Menke, C. Parr, S. Philpott, M. Pfeiffer, J. Retana, A. Suarez, H. Vasconcelos. 2009. Climatic Drivers of Hemispheric Asymmetry in Global Patterns of Ant Species Richness. Ecology Letters.

Dunn, R.R., Sanders, N.J., Fitzpatrick, M.C., Laurent, E., Lessard, J.-P., Agosti, D., Andersen, A.N., Bruhl, C., Cerda, X., Ellison, A.M., Fisher, B.L., Gibb, H., Gotelli, N.J., Gove, A., Guenard, B., Janda, M., Kaspari, M., Longino, J.T., Majer, J., McGlynn, T.P., Menke, S.B., Parr, C.L., Philpott, S.M., Pfeiffer, M., Retana, J., Suarez, A.V. & Vasconcelos, H.L. 2007: Global ant

(Hymenoptera: Formicidae) biodiversity and biogeography – a new database and its possibilities.
– Myrmecological News 10: 77-83.

Fisher B.L. 1999. Ant diversity patterns along an elevational gradient in the Reseve Naturalle Integrale d'Andohalela, Madagascar. Fieldiana: Zoology.(n.s) 94:129-147.

Frouz, J. & Finer, L. 2007. Diurnal and seasonal flucatuations in wood ant (*Formica polyctena*) nest temperature in two geographically distant populations along a south - north gradient. Insectes Sociaux 54: 251-259.

Frouz, J. & Jilkova, V., 2008. The effect of ants on soil properties and processes (Hymenoptera: Formicidae). Myrmecological News, 11: 191-199.

Frouz, J. 2000. The effect of nest moisture on daily temperature regime in the nest of *Formica polyctena* wood ants. - Insectes Sociaux 47: 229-235.

Garcia, A. 2006. Using ecological niche modelling to identify diversity hotspots for the herpetofauna of Pacific lowlands and adjacent interior valleys of Mexico. Biol. Conservation: 130. p. 25-46

Green, W.P., Pettry, D.E & Switzer, R.E. 1999. Structure and hydrology of mounds of the imported fire ants in the south-eastern United States. Geoderma 93: 1-17.

Hijmans, R.J., Cameron, S.E., Parra, J.L., Jones, P.G. & Jarvis, A. (2005) Very high resolution interpolated climate surfaces for global land areas. International Journal of Climatology, 25, 1965–1978.

Holdridge, L.R. (1967) Life zone ecology. Tropical Science Center. San Jose, Costa Rica.

Iverson L.R., Prasad M.A., 2000. Potential Changes in Tree Species Richness and Forest Community Types following Climate Change Ecosystems, 4: 186–199

Kerr, J. T. 2001. Butterfly species richness patterns in Canada: energy, heterogeneity, and the potential consequences of climate change. *Conservation Ecology* 5(1): 10. [online] URL: <http://www.consecol.org/vol5/iss1/art10/>

Reck, N. & Chaladze, G. 2004. Checklist of the Ground Beetles (Coleoptera, Carabidae) of Georgia *Proceedings Of The Institute Of Zoology Of Georgia*, p. 127-157.

Rull, V. (2010). On microrefugia and cryptic refugia. *Journal of Biogeography*, 37(8), 1623–1625.

Rull, V., Schubert, C. & Aravena, R. (1988) Palynological studies in the Venezuelan Guayana Shield: preliminary results. *Current Research in the Pleistocene*, 5, 54–56.

Sharova, I.Kh., "The Fauna of Ground Beetles (Coleoptera, Carabidae) of Moscow Province and the Degree of Its Variability," in *Soil Arthropods of Moscow Province* (Nauka, Moscow, 1982), pp. 223–236 [in Russian].

Trautner J, K.Geigenmueller. 1987. Tiger Beetles, Ground Beetles (Illustrated Key to the Cicindelidae and Carabidae of Europe). Germany, Aichtal, J.Margraf Publishing. 1987. 487 p.

Zettel, J. (1999). Alpine Collembola - Adaptations and strategies for survival in harsh environments. *Zoology*, 102(2-3), 73-89.

Carabus armeniacus-ის სხეულის ზომის და პროპორციის
ცვალებადობა ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით

(გამოუქვეყნებელი მონაცემები)



შესავალი

მწერების სხეულის ზომები დამოკიდებულია სიმაღლეზე ზღვის დონიდან, თუმცა არ არსებობს ერთიანი კანონზომიერება (Smith *et al.* 2000). არის სახეობები რომელთა სხეულის ზომა დადებითად კორელირებს (Miller, 1991; Krasnov *et al.* 1996;), უარყოფითად კორელირებს (Krasnov *et al.* 1996; Sota *et al.* 2000) ან სიმაღლეს უმნიშვნელო ეფექტი აქვს (Krasnov *et al.* 1996; Sota *et al.* 2000).

ბერგმანის წესი აღწერს ეკოლოგიურ კანონზიმიერებას, რომლის მიხედვითაც ერთი და იგივე სახეობაში ინდივიდების სხეულის ზომა მით უფრო დიდია, რაც ნაკლებია გარემოს ტემპერატურა. იგივე წესი ვრცელდება მონათესავე სახეობებზე, მაგალითად ქვეგვარებზე ან სახეობათა ჯგუფებზე. გეოგრაფიულად ეს გამოიხატება იმაში, რომ ერთი და იგივე სახეობის პოპულაციებში ინდივიდების ზომა იზრდება ეკვატორიდან პოლუსებისკენ, ლოკალურად კი სხეულის ზომა იზრდება ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდასთან ერთად. თუმცა, ბერგმანის წესი ძირითადად თბილსისხლიან ცხოველებზე ვრცელდება. პოიკილოთერმული მწერების შემთხვევაში ასეთი კანონზომიერება არ არსებობს (Shelomi, 2012).

სხეულის ზომის და კლიმატის არაკანონზომიერი დამოკიდებულებაა ასევე ახლოს მყოფ სახეობებს შორის, მაგალითად: Krasnov *et al.* (1996) შეისწავლეს შვიდი სახეობის შავტანა ხოჭოს სხეულის ზომის ვარიაცია სიმაღლის მიხედვით ისრაელში, აქედან სამი სახეობის ზომა არ იცვლებოდა სიმაღლის მიხედვით, ერთი სახეობის ზომა იზრდებოდა სიმაღლესთან ერთად, ხოლო სამი სახების სხეულის ზომა მცირდებოდა. Sota *et al.* (2000) შეისწავლეს 15 სახეობის *Carabus* საიდანაც 9 სახეობის სხეულის ზომა დადებით კორელაციაში იყო საშუალო წლიურ ტემპერატურასთან, ხოლო დანარჩენების არ იცვლებოდა.

ბზუალა ხოჭო (*Carabidae*) *Carabus armeniacus* ქვეგვარ *Spodristocarabus*-ს მიეკუთვნება; ქვეგვარის ყველა სახეობა კავკასიის ენდემია (Krijanovski *et al.* 1995; Reck & Chaladze, 2004), *Spodristocarabus*-ის სახეობები ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი

ხოჭოებია კავკასიის ტყეებში და სუბალპურ მდელოებზე (Reck, 1983). იმის გამო რომ *Carabus armeniacus*-ის სიმაღლის მიხედვით გავრცელების დიაპაზონი დიდია, კარგი ობიექტია სხეულის ზომის ცვალებადობის შესასწავლად.

ამ თავში აღწერილი კვლევის მიზანს წარმოადგენდა *Carabus armeniacus*-ის სხეულის ზომის და პროპორციების ცვალებადობის დადგენა ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით.


მასალა და მეთოდიკა

Carabus armeniacus -ის ინდივიდები შეგროვებულია 2008 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, 500 მლ-იანი ნიადაგის ხაფანგების გამოყენებით. ნიადაგის ხაფანგებში ფიქსატორად გამოყენებული იყო ფორმალინის 2%-იანი ხსნარი (100 მლ. თითოეულ ხაფანგში). საველე გასვლები ხორციელდებოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის (GNSF/ST 07/6-236) ფარგლებში.

ნიადაგის ხაფანგები დამონტაჟებული იყო ხუთ სხვადასხვა სიმაღლეზე ზღვის დონიდან (სურათი 26, ცხრილი 7).

ცხრილი 7. ნიადაგის ხაფანგების მდებარეობა და ჰაბიტატები.

N	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	განედი	გრძედი	ჰაბიტატი	მდებარეობა
1	849	41.87946	43.38594	მდელო ტყის შერეული ტყის პირას	ბანისხევი
2	1164	41.83167	43.32349	შერეული ტყე	ლიკანი
3	1228	41.83004	43.30601	წიწვნარი ტყე	ლიკანი
4	1555	41.84575	43.29401	სუბალპური მდელო	ლომის მთა
5	1903	41.84043	43.27454	სუბალპური მდელო	ლომის მთა



სურათი 26. ნიადაგის ხაფანგების მდებარეობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში.

ყველა წერტილიდან ავიღე *Carabus armeniacus*-ის 20 ინდივიდი, 10 მდედრი და 10 მამრი. *Carabus* -ის მდერები და მამრები ადვილად განსხვავდებიან წინა თათების სეგმენტების ზომის მიხედვით (Lindroth, 1974), მამრს აქვს გაფართოებული სეგმენტები (სურათი 27).

ჰაბიტატების კოორდინატები და სიმაღლე ზღვის დონიდან ავიღე GPS „Garmin eTrex“ მეშვეობით. კორელაციური ანალიზი განვახორციელე SPSS v16-ის მეშვეობით. კორელაციური ანალიზისთვის გამოვიყენე WorldClim ვერსია 1.4-ის (Hijmans et al. 2005) შრეები: საშუალო წლიური ტემპერატურა და წლიური ნალექები. შრეებიდან მონაცემები ამოვიღე Arcview 3.1-ის მეშვეობით.



სურათი 27. *Carabus septemcarinatus* მდედრი და მამრი: მამრის წინა თათის პირველი ოთხი სეგმენტი მნიშვნელოვნად განიერია ვიდრე მდედრის.

ხოჭოები გადავიღე მილიმეტრული ქაღალდის ფონზე, გაზომვები განხორციელდა კომპიუტერულ პროგრამა ფოტოშოპში (Adobe Photoshop CS3). გაზომილი პარამეტრების აღწერა მოცემულია ცხრილი 8.

კვლევაში გამოყენებული *Carabus armeniacus* -ის განაზომები მოცემულია დანართში (ცხრილი 12).

ცხრილი 8. კვლევაში გამოყენებული *Carabus armeniacus*-ის სხეულის პარამეტრები

აბრევიატურა	აღწერა
PWmin	წინამკერდის მინიმალური სიგანე
PWmax	წინამკერდის მაქსიმალური სიგანე
PL	წინამკერდის სიგრძე
Ewmax	ელიტრების მაქსიმალური სიგანე
EL	ელიტრების სიგრძე
L	სხეულის სრული სიგრძე (ზედა ტუჩიდან ელიტრების ბოლომდე)


შედეგები და დისკუსია

Carabus armeniacus -ის ინდივიდებს ჰქონდათ კარგად გამოკვეთილი სქესობრივი დიმორფიზმი. მდედრები იყვნენ საშუალოდ უფრო დიდი ზომის.


ორივე სქესის სხეულის ზომა მცირდებოდა სიმაღლესთან ერთად, თუმცა ეს ცვლილება სარწმუნოა მხოლოდ მამრებისთვის (კორელაციის კოეფიციენტი -0.349 , $P <0.05$, სურათი 28 a). მამრის სხეულის ზომა უარყოფითად არის დამოკიდებული წლიურ ნალექებზე (კორელაციის კოეფიციენტი -0.490 , $p<0.001$) და დადებითად საშუალო წლიურ ტემპერატურაზე (კორელაციის კოეფიციენტი 0.351 , $p<0.01$).

მამრების სხეული სიმაღლესთან ერთად უფრო განიერი ხდებოდა (კორელაციის კოეფიციენტი 0.413 $P<0.05$, სურათი 28 b), მდედრების სხეულის პროპორციები სარწმუნოდ არ იცვლებოდა სიმაღლესთან ერთად (სურათი 29 b).

მდედრის სხეულის ზომა უარყოფით კორელაციაშია (-0.327 , $P<0.05$) წლიური ნალექების რაოდენობასთან. მდედრის სხეულის ზომა არ კორელირებს საშუალო წლიურ ტემპერატურასთან.



სურათი 28. *Carabus armeniacus* -ის მამრების (a) სხეულის ზომის და (b) პროპორციის (Ewmax/L) დამოკიდებულება სიმაღლეზე.



სურათი 29. *Carabus armeniacus* -ის მდედრების (a) სხეულის ზომის და (b) პროპორციის (Ewmax/L) დამოკიდებულება სიმაღლეზე.

კვლევის შედეგები აჩვენებს რომ *Carabus armeniacus*-ის მდედრების და მამრების ზომები სხვადასხვანაირად იცვლება სიმაღლის მიხედვით, და განსხვავებულად კორელირებენ კლიმატურ პარამეტრებთან. მდედრებთან შედარებით მცირე ზომის მამრები უფრო მგრძნობიარები არიან ზღვის დონიდან სიმაღლის ცვლილების მიმართ.

ქვეგვარი *Spodristocarabus* განსაკუთრებულად მდიდარია მორფოსახეობებით. პრაქტიკულად კავკასიის ყველა გეოგრაფიულ ადგილას სხვადასხვა სახეობა, ქვესახეობა ან ფორმა ბინადრობს (Reck, 1983).

სხეულის ზომების სხვაობა სიმაღლის მიხედვით საინტერესოა ასევე ტაქსონომიური თვალსაზრისითაც რადგან ხშირად კარაბიდებში და ზოგადად ხოჭოებში ახალი სახეობის აღწერები მთლიანად ემყარება მამრების აღწერას. *Spodristocarabus*-ის შემთხვევაში აღწერები მთლიანად მამრების მორფოლოგიას და ედეაგუსის ფორმას ემყარება. წინამდებარე კვლევა კი აჩვენებს რომ მამრების სხეულის ზომა და პროპორციები განსაკუთრებით მგრძნობიარეა ზღვის დონიდან სიმაღლის ცვლილების მიმართ.. ამიტომ საჭიროა ხოჭოების ფორმების შესწავლისას ამ ფაქტორის გათვალისწინება.

კავკასიის ეკორეგიონი მისი მრავალფეროვანი რელიეფის და მწერების სახეობრივი მრავალფეროვნების გამო ქმნის იდელურ გარემოს უხერხემლოების სხეულის ზომის კლიმატზე დამოკიდებულების შესასწავლად. იმედი მაქვს რომ წინამდებარე კვლევა ხელს შეუწობს აღნიშნული საკითხისადმი ინტერესის გაჩენას.

გამოყენებული ლიტერატურა

Krasnov, B., Ward, D., & Shenbrot, G. (1996). Body size and leg length variation in several species of darkling beetles (Coleoptera: Tenebrionidae) along a rainfall and altitudinal gradient in the Negev Desert (Israel). *Journal of Arid Environments*, 34(4), 477-489.

Kryzhanovskij O.L. et al. 1995: A Checklist of the ground-beetles of Russia and Adjacent Lands (Coleoptera, Carabidae). - Sofia: Pensoft Series Faunist. 3, 271 pp

Lindroth, C. H. (1974). Handbooks for the identification of British insects. Coleoptera, Carabidae. Handbooks for the identification of British insects, 4(2).

Miller, W. E. 1991. Positive relation between body size and altitude of capture site in tortricid moths (Tortricidae). *J. Lepidop. Soc.* 45: 66-67.

Reck N, Chaladze, G. 2004. Checklist of the Ground Beetles (Coleoptera, Carabidae) of Georgia. *Proceedings of The Institute Of Zoology Of Georgia*, 127-157

Reck. N. 1983. The Ground Beetles (Coleoptera, Carabidae) of East Georgia. Kand. Diss., Tbilisi

Shelomi, M. (2012). Where are we now? Bergmann's rule sensu lato in insects. *The American Naturalist*, 180(4), 511-519.

Smith, R. J., Hines, A., Richmond, S., Merrick, M., Drew, A., & Fargo, R. (2000). Altitudinal variation in body size and population density of *Nicrophorus investigator* (Coleoptera: Silphidae). *Environmental entomology*, 29(2), 290-298.

Sota, T., Takami, Y., Kubota, K., Ujiie, M., & Ishikawa, R. (2000). Interspecific body size differentiation in species assemblages of the carabid subgenus *Ohomopterus* in Japan. *Population Ecology*, 42(3), 279-291.

***Noterus crassicornis* (O. F. Muller), 1776 –ახალი სახეობა**

საქართველოს ფაუნისათვის (Coleoptera, Noteridae)


(გამოუქვეყნებელი მონაცემები)

ოჯახი Noteridae აერთიანებს ოთხ გვარს, რომლიდანაც საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ *Noterus* Clairville, 1806 (Якобсон, 1916; Зайцев, 1953; Toledo, 2004). საქართველოში ამ გვარიდან მხოლოდ ერთი სახეობა იყო რეგისტრირებული: *Noterus clavicornis* (De Geer, 1774) (Toledo, 2004), თუმცა ზაიცევი აღნიშნავდა (Зайцев, 1953) რომ შესაძლებელი იყო საქართველოს ტერიტორიაზე *N. crassicornis*-ისარსებობა.

მასალა და მეთოდიკა

ხოჭოები შევაგროვე 2009 წელს. ეროვნული სამეცნირო ფონდის პროექტის GNSF/371 - "კოლხეთის ეროვნული პარკის (სახმელეთო ნაწილი) უხერხემლო ცხოველები, მათი ბიომრავალფეროვნება, ძირითადი ჰაბიტატების და ეკოსისტემების მოსახლეობა" - ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციის დროს.

ხოჭოები კოლხეთის ეროვნულ პარკში, მდ. თიქორსა (სურათი 30) და მის მიმდებარე ხელოვნურ არხებში შევაგროვე წყლის მწერბადის გამოყენებით (Зайцев, 1953), გარკვევა მოხდა ინტერნეტ რესურსის (Zin.ru), ვარცევ-ის (1953) და Toledo-ს (2004) სარკვევის მიხედვით.




სურათი 30. *N. crassicornis*-ის რეგისტრაციის წერტილი, მდ. თიქორი, ანაკლია.



სურათი 31. *N. Crassicornis*, მამრი

N. crassicornis -ის (სურათი 31) მთავარი განმასხვავებელი ნიშანია მამრებში მკვეთრად დიდი ზომის, ულვაშის მე-5 სეგმენტი, რომელიც წინა სეგმენტზე ორჯერ განიერია. მე-5 სეგმენტი თითქმის ოთხკუთხაა, შიდა ზედა კუთხე ბლაგვია, გარე ზედა კუთხე მახვილია. მე-6 სეგმენტი ისეთივე სისქისაა როგორც მე-5, მაგრამ ორჯერ უფრო ნაკლებია სიგრძეში. *N. Clavicornis*-ს ასევე გაგანიერებული აქვს ულვაშის მე-5 სეგმენტი, მაგრამ გაფილებით უფრო ნაკლებად, მე-6 სეგმენტი კი თითქმის ისეთივე ზომისაა როგორიც მე-5 (სურათი 32).



სურათი 32. *Noterus*-ის მამრების ულვაშების ფორმა, რიცხვები აღნიშნავს სეგმენტის ნომერს.. a. *N. crassicornis* b. *N. clavicornis*

გამოყენებული ლიტერატურა

Toledo, M. 2004. Diagnosis of *Noterus ponticus* Sharp, 1882 (Coleoptera, Noteridae), Koleopterische Rundschau, 74,: 33-43

Zaitzev, Ph. A. 1953: Nasekomye zhestkokrylye. Plavuntsovie I vertyachki. – Fauna SSSR 4 (N.S. 58): 1-377.

Zin.ru. 2009. Атлас нырялок (Noteridae) России - проект Э.Я.Берлова. Триба Noterini, Род Noterus Clairville, 1806: 222. <http://www.zin.ru/animalia/coleoptera/rus/noterida.htm>, 6 Feb. 2015.

Зайцев Ф. А. 1953: Водные жесткокрылье в Фауне Грузии – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, gv. 87-127.

Якобсон Г.Г., 1916. Триба Noterina // Жуки России и Западной Европы.- СПб., изд. Девриена, с. 427.

**ჩრდილო პალეარქტიკული სახეობათა კომპლექსის
Pterostichus nigrita (Paykull) რევიზია, ახალი სახეობის აღწერა
ესპანეთიდან და ახალი ქვესახეობა *P. nigrita* sp. n. ანატოლიიდან.**

Angus, R. B., Galián, J., Wrase, D. W., & Chaladze, G. (2008). The western Palaearctic species of the *Pterostichus nigrita* (Paykull) complex, with the description of a new species from Spain and a new subspecies of *P. nigrita* from Anatolia (Coleoptera, Carabidae). *Nouv Rev Entomol*, 25, 297-316.

კვლევაში განხორციელდა ჩრდილო პალეარქტიკულის *Pterostichus nigrita* სახეობრივი კომპლექსის რევიზია. აღწერილია ახალი ქვესახეობა იბერიის ნახევარკუნძულიდან და მაროკოდან (*P. carri* sp. n.) და ახალი სახეობა ანატოლიიდან (*P. nigrita pontonigrita* subsp. n.). *P. pseudorhaeticus* Solodovnikov გადაყვანილია *P. rhaeticus*-ის სინონიმად. სახეობის სტატუსი განსაზღვრულია გადმობრუნებული ენდოპალუსის ფორმის მიხედვით.

P. nigrita ფართოდ გავრცელებულია ევროპაში იბერიის ნახევარკუნძულიდან ციმბირში პრიმორიეს და კამჩატკის მხარეებამდე. ასევე გვხვდება ყირგიზეთის, ყაზახეთის და უზბეკეთის მთებში. *P. n. pontonigrita* ცნობილია მხოლოდ ანატოლიიდან. *P. rhaeticus* ცნობილია ცენტრალური და ჩრდილო ევროპიდან, გავრცელებულია ციმბირში და ჩრდილოეთ ყაზახეთში ამურის რეგიონამდე (რუსეთის ფედერაცია). *P. fuscicornis* ცნობილია ისრაელიდან, სირიიდან, ლიბანიდან, აღმოსავლეთ ანატოლიიდან, ამიერკავკასიიდან და ირანიდან, ასევე ჩინეთში, აღმოსავლეთ ტიან-შანიდან. *P. carri* ფართოდ გავრცელებულია იბერიის ნახევარკუნძულზე და ასევე გვხვდება მაროკოში.

განხილულია ენდოპალუსის ხეტოტაქსია (ჯაგრების განლაგება) და მდედრის *bursa copulatrix*-ისათვის მიყენებულია დაზიანება კოპულაციისას.


კვლევაში მოცემულია *P. nigrita*, *P. rhaeticus* და *P. carri* კარიოტიპები, rDNA-ის ლოკალიზაციით, რომელიც განხორციელდა FISH-ჰიბრიდიზაციის მეთოდით. *P. carri*-ის აუტოსომური NOR-ქრომოსომა განსხვავებულია *P. nigrita* და *P. rhaeticus*-გან.

რევიზიის შედეგად ოთხი სახეობაა ვალიდური: *P. nigrita* (Paykull), *P. rhaeticus* Heer, *P. fuscicornis* (Reiche & Saulcy) and *P. carri* sp. n.




სურათი 33. *P. nigrita pontonigrita*-ს ტიპური მასალის რეგისტრაციის წერტილები. ყვითლად აღნიშნულია ჰოლოტიპის რეგისტრაციის წერტილი, წითლად - პარატიპების რეგისტრაციის წერტილები.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია მონათესავე სახეობა, *P. fuscicornis* (Kryzhanovskij *et al.* 1995) მიუხედავად გარეგანი მორფოლოგიური ნიშნების არ არსებობისა სახეობები მკვეთრად განსხვავდებიან ენდოფალუსის აგებულებით (სურათი 34).




სურათი 34. გადმობრუნებული ენდოფალუსი. ზევით: *P. fuscicornis* საქართველო, ნადიბანი, N 42.41576, E 44.60407, ქვევით: *P. nigrita pontonigrita*, პარატიპი, დემირკაფი, რიზე, თურქეთი N 40.558333, E40.405556°.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია ასევე *P. anthracinus* (Reck & Chaladze, 2004) რომელიც ვიზუალურად ზალიან ჰგავს *P. fuscicornis* და *P. Nigrita*-ს (სურათი 35). *P. anthracinus*-ის მამრს ანალურ სტერნიტზე ჩაღრმავება აქვს, ხოლო *P. fuscicornis* და *P. Nigrita*-ს მამრებს ანალურ სტერნიტზე მცირე ზომის კილი აქვთ (სურათი 36). *P. anthracinus* აქვს ორივე სახეობისაგან მკვეთრად განსხვავებული, წაგრძელებული და მოკაუჭებული მარჯვენა პარამერა (სურათი 36).



სურათი 35. a. *P. anthracinus*, მამრი, საქართველო, სოფ. ხევშა. b. *P. fuscicornis* მდედრი, საქართველო, ბაკურიანი. c. *P. nigrita pontonigrita*, მამრი, თურქეთი, დემირკაფი.



სურათი 36. ზევით: მარჯვენა პარამერა, ქვევით: მამრის ანალური სტერნიტი. a., d. *P. Anthracinus*,
b, e. *P. fuscicornis*, c., f. *P. nigrita pontonigrita*.

გამოყენებული ლიტერატურა

Kryzhanovskij O.L. et al. 1995: A Checklist of the ground-beetles of Russia and Adjacent Lands (Coleoptera, Carabidae). - Sofia: Pensoft Series Faunist. 3, 271 pp

Reck N, Chaladze, G. 2004. Checklist of the Ground Beetles (Coleoptera, Carabidae) of Georgia. Proceedings of The Institute Of Zoology Of Georgia, 127-157

დასკვნითი დისკუსია: მეთოდოლოგიური პრობლემები ენტომოლოგიურ კვლევებში

სახეობა და მისი განსაზღვრის პრობლემა

სახეობის განსაზღვრის პრობლემა ერთერთი ცენტალურია ყველა საბუნებისმეტყველო დარგისთვის, რადგან სწორედ ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს ნებისმიერი კვლევის შედეგები. სახეობის განსაზღვრისათვის რამდენიმე ძირითადი განმარტება გამოიყენება, მორფოლოგიური სახეობა (როდესაც ჯუფის ინდივიდები იდენტურია მორფოლოგიური ნიშნებით) და ბიოლოგიური სახეობა (როდესაც ჯუფის წარმომადგენლები თავისუფლად ეჯვარებიან ერთმანეთს და იძლევიან ნაყოფიერ შთამომავლობას) (Mayr, 1942). უხერხემლოების შემთხვევაში სახეობაზე საუბრისას თითქმის ყოველთვის საუბარია მორფოლოგიურ სახეობაზე, უხერხემლოების სახეობათა დიდი რაოდენობის გამო (Chapman, 2009; Costello *et al.* 2013) თითქმის შეუძლებელია ყველა სახეობისთვის იმის დადგენა რამდენად იზოლირებულია მონათესავე სახეობებისაგან რეპროდუქციულად. მწერების შემთხვევაში თითქმის ყოველთვის გადამწყვეტ მორფოლოგიურ ნიშნად მიიჩნევა სხვაობა სასქესო ორგანოებს შორის. მორფოლოგიურად სრულიად იდენტურ სახეობებს ხშირად აქვთ მკვეთრად განსხვავებული სასქესო ორგანოები, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას რომ მათ უბრალოდ ფიზიოლოგიურად არ შეუძლიათ შეჯვარება (Koch, & Thiele, 1980).


გეოგრაფიული მონაცემები და მათი ცდომილება

სახეობის არეალის მოდელირებისას მნიშვნელოვანია გავრცელების რეგისტრაციის სიზუსტე. საველე გასვლებით მოპოვებული წერტილებში გეოგრაფიული ცდომილება მინიმალურია, თანამედროვე GPS-ებს, მათ შორის სმარტფონებსაც აქვთ სიზუსტე 30 მეტრამდე. ლიტერატურული ან საკოლექციო მონაცემების შემთხვევაში, როდესაც როგორც წესი მითითებულია შემგროვებლისთვის ცნობილი უახლოესი გეოგრაფიული

მდებარეობა (მაგალითად, "ბორჯომი"), ცდომილება შესაძლია რამდენიმე კილომეტრსაც შეადგენდეს.

მსგავსი ცდომილება ავტომატურად ზღუდავს მაღალი გაფართოების გეოგრაფიული შრეების გამოყენების შესაძლებლობას და საჭიროა გეოგრაფიული შრის გარდაქმნა ისე რომ რეგისტრაციის წერტილების ცდომილებამ არ მოახდინოს გავლენა მოდელირებაზე. ამიტომ მაღალი გაფართოების გეოგრაფიული შრის რეზოლუციის შემცირება ხდება საჭირო (**სურათი 37**).

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე გეოგრაფიული ადგილების არათანაბარი ინტენსივობით კვლევა; მაგალითად, ჩემს მიერ შესწავლილ ყველა




მონაცემში თბილისი და ლაგოდეხის ნაკრძალი განსაკუთრებული ინტენსივობით არის შესწავლილი. ამ პრობლემის მოგვარება ნაწილობრივ შესაძლებელია მათი მონაცემებიდან ამოღებით. ასევე ინდივიდუალური მოდელების შეჯამებაზე დაფუძლებული ბიომრავალფეროვნების სივრცობრივი მოდელისათვის ეს საკითხი ნაკლებად პრობლემატურია, რადგან თითეული სახეობა მოდელირების დროს დამოუკიდებელია ერთამეთისგან.

სურათი 37. რეგისტრაციის წერტილის სიზუსტე და მასთან დაკავშირებული გეოგრაფიული შრის მარცვლის ზომის შემცირება მოდელირებისას.

გავრცელების მოდელები და მათი ცდომილება

ბიომრავალფეროვნების მოდელების მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს ის რომ როგორც წესი სივრცობრივი მოდელის სახეს მთლიანად განსაზღვრავს ფართოდ გავრცელებული სახეობების მცირე ნაწილი. ეს განპირობებულია ერთის მხრივ იმით რომ ზოგიერთი სახეობა ფართოდ არის გავრცელებული, ხოლო ზოგიერთის არეალი ძალიან პატარაა (Gaston, 2003; Pearman & Weber, 2007). მეორეს მხრივ პრობლემას წარმოადგენს არათანაბარი შეგროვების ინტენსივობა მკვლევარების მხრიდან. შესაძლოა მკვლევარების ინტერესი მხოლოდ ენდემურმა, ან მათთვის საინტერესო სახეობებმა მიიზიდოს. შესაძლოა ლოკალური ფაუნისტური სიები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ფართოდ გავრცელებული სახეობებით რომელთა შეგროვება და იდენტიფიკაცია უფრო მარტივია. სხვადასხვა სახეობისათვის გავრცელების წერტილების უთანასწორობაც (სურათი 38) ზღუდავს სრულფასოვანი ბიომრავალფეროვნების მოდელის შექმნის შესაძლებლობას, და აუცილებელი ხდება დიდი რაოდენობით სახეობების, რომლებსაც ცოტა რეგისტრაციის წერტილი აქვთ, ანალიზიდან გამორიცხვა.



სურათი 38. რეგისტრაციის წერტილების რაოდენობა კავკასიის ობობების მონაცემთა ბაზიდან.

გავრცელების მოდელები რომლებიც ემყარება კლიმატურ შრეებს, დამატებით პრობლემას აწყდება იმ ორგანიზმების შემთხვევაში, რომელთაც შეუძლიათ კლიმატური პირობების შეცვლა. ზოგიერთ ორგანიზმს შეუძლია გააფართოვოს თავისი საარსებო კლიმატური ნიშა, თუკი მას შეუძლია ტემპერატურის და ტენიანობის მანიპულაცია. ყველაზე კარგად ასეთ მანიპულაციებს ახერხებს ადამიანი, რომელიც იმოსება ტანსაცმლით, იყენებს გათბობის და სითბოს კონსერვაციის საშუალებებს და ამიტომ შეუძლია იცხოვროს ბევრად უფრო ცივ პირობებში, ვიდრე ადამიანის სხეულს ბიოლოგიურად შეუძლია გაუძლოს. ჭიანჭველების ბევრი სახეობა ახერხებს აკონტროლოს ბუდის ტემპერატურა და ტენიანობა (Frouz & Finer, 2007; Frouz & Jilkova, 2008), რაც საშუალებას აძლევთ გააფართოვონ თავიანთი ნიშა, თუმცა ცხადია კლიმატური პირობებისაგან თავის დაღწევის უნარი უსაზღვრო არ არის და კლიმატური პირობები მაინც ყველა სახეობის ჭიანჭველაზე ახდენს გავლენას.

მსგავსი პრობლემაა მიკროკლიმატური მრავალფეროვნება, ყველაზე დეტალური კლიმატური შრეებიც კი ვერ ახერხებს იმ მიკროკლიმატის მრავალფეროვნების ასახვას რომელშიც მწერები ცხოვრობენ. ბევრი მწერის პოპულაციას შეუძლია იარსებოს რამდენიმე კვადრატულ მეტს ფართობზე, რომლის კლიმატური პირობები სრულიად განსხვავდება გარემოსაგან; მაგალითად, ისეთ ადგილებში, რომლებიც განსაკუთრებულად კარგად თბება ან ხდება წყლის დაგროვება (Kavanaugh, 1979; Rull, 2009).

ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა/ეროვნული პარკები

ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ სად არის ყველაზე მაღალი ბიომრავალფეროვნება და რომელი ადგილია უფრო მოწყვლადი და ითხოვს კონსერვაციული ღონისძიებების გატარებას. მოუხედავად ამისა, როგორც საქართველოში, ასევე მის გარეთ ნაკრძალები და ეროვნული პარკები, რომელთა პირველადი ფუნქცია სწორედ ბიომრავალფეროვნების დაცვაა, შექმნიალია ასეთი ანალიზის გარეშე. ჩვეულებრივ ნაკრძალების შექმნა ემყარება არა რაოდენობრივ

მონაცემებს და ბიომრავალფეროვნების სივრცობრივ რუკებს, არამედ ექსპერტთა მოსაზრებებს და ბიომრავალფეროვნების დაცვით დაინტერესებული ჯგუფების აქტივობას. როგორც წესი დაცული ტერიტორიები იქმნება მათი ადამიანებისათვის ვიზუალურად ესთეტიურობის გამო. რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს რომ მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნების წერტილები ხშირად არ ემთხვევა დაცულ ტერიტორიებს (Prendergast *et al.* 1993; Caro, 2001). თუმცა ზოგიერთი კვლევა საწინააღმდეგოსაც აჩვენებს, რომ დაცული ტერიტორიები სრულყოფილად (Newbold *et al.* 2009) ან ნაწილობრივ მაინც (Mumladze *et al.* 2014) მოიცავს მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნების კონცენტრაციის წერტილებს.

ჩემი კვლევა წარმოადგენს მცდელობას შეიქმნას კავკასიის ბიომრავალფეროვნების სივრცობრივი რუკა, რომლის გამოყენებაც შესაზღებელი იქნება როგორც ფუნდამენტური კვლევებისათვის, ასევე პრაქტიკული საკონსერვაციო მიზმებისათვის.

მწერების კონსერვაცია და ეთიკა

ადამიანების მიღვომა ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლების კონსერვაციისკენ განპირობებულია ჩვენი ემპათიის უნარით ამა თუ იმ ორგანიზმისადმი, და ნაკლებად რაიმე რაციონალური კრიტერიუმით. აქედან გამომდინარე მწერების კოლექციონირება, მათი ათეულობით ათასის მოკვლა/შეგროვება ერთი პუბლიკაციისთვის სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, თუმცა ბოლო წლებში შეიმჩნევა ეთიკური კრიტერიუმების გამკაცრება ამ მიმართულებითაც. უხერხემლოების შესწავლაში ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდი ნიადაგის ხაფანგებია (Spence & Niemelä, 1994), რომელიც გარდა საკვლევი ორგანიზმის/ჯგუფის იჭერს პრაქტიკულად ყველა მცირე ზომის ორგანიზმს რომელიც ნიადაგის ზედაპირზე მოძრაობს (New, 1999). აქედან გამომდინარე ძირითადი ეთიკური ასპექტები კონცენტრირებულია სწორედ იმ ორგანიზმების დაჭერის შემცირებაზე (Bycatch) რომელიც არ წარმოადგენს კვლევის მიზანს (New, 1999).

ზოგადად როგორც სამეცნიერო საზოგადოების ასევე საზოგადოების დამოკიდებულება მწერებისადმი მკვეთრად განსხავედება იმ დამოკიდებულებისაგან რაც ძუძუმწოვრებისადმი გააჩნიათ, გარდა იმისა რომ მწერების კვლევითი მიზნებისათვის მასიური კვლა არ იწვევს რაიმე სერიოზულ რეაქციას, ასეთივე რეაქციაა მწერების სხვა მიზნებით გამოყენებისას. მაგალითად, 2012 წელს ინგლისელმა მხატვარმა დემიენ ჰირსტმა არტ ინსტალაციისას ცოცხალი პეპლები გამოიყენა, გამოფენის პროცესში 9000 პეპლა მოკვდა (Barkham, 2012). მართალია ამ ინსტალაციას მოჰყვა გარკვეული კრიტიკული წერილები (Brooks, 2012; Nikkhah, 2012), მაგრამ რამდენად მკვეთრი იქნებოდა სხვაობა ინსტალაციის დროს 9000 ლეკვი ან კნუტი რომ მომკვდარიყო?

გამოყენებული ლიტერატურა

Barkham, P. 2012. 'Damien Hirst's Butterflies: Distressing But Weirdly Uplifting'. the Guardian.. 5/03/2015. <http://www.theguardian.com/environment/2012/apr/18/damien-hirst-butterflies-weirdly-uplifting>

Brooks, K. 2012. Damien Hirst Butterfly Fiasco: Artist Kills 9,000 In The Name Of Art '. The Huffington Post. 5/03/2015. http://www.huffingtonpost.com/2012/10/16/damien-hirst-kills-9000-b_n_1970627.html

Caro, T. M. (2001). Species richness and abundance of small mammals inside and outside an African national park. Biological Conservation, 98 (3), 251-257.

Chapman, A. D. (2009). Numbers of Living Species in Australia and the World (PDF) (2nd ed.). Canberra: Australian Biological Resources Study. pp. 1–80. ISBN 978 0 642 56861 8.

Costello, M. J., May, R. M., & Stork, N. E. (2013). Can we name Earth's species before they go extinct?. science, 339(6118), 413-416.

Frouz J, Finer L (2007) Diurnal and seasonal flucatuations in wood ant (*Formica polyctena*) nest temperature in two geographically distant populations along a south - north gradient. Insect Soci 54:251–259

Frouz J, Jilkova V (2008) The effect of ants on soil properties and processes (Hymenoptera: Formicidae). Myrmecol News

Gaston KJ (2003) The structure and dynamics of geographic ranges. Oxford: Oxford University Press. 266 p.

Gullan, P. J., & Cranston, P. S. (2009). The insects: an outline of entomology. John Wiley & Sons.

Kavanaugh, D. H. 1979. Investigations on present climatic refugia in North America through studies on the distributions of carabid beetles: concepts, methodology and prospectus. Pp. 369-381. In: Erwin, T. L., G. E. Ball, D. R. Whitehead, and A. L. Helpern (editors), Carabid beetles: their evolution, natural history, and classification (Proceedings of the First International Symposium of Carabidology, Smithsonian Institution, Washington, D. C., August 21, 23, and 25, 1976). W. Junk b.v., Publishers, The Hague, 635 pp.

Koch, D., & Thiele, H. U. (1980). Zur ökologisch-physiologischen Differenzierung und Speziation der Laufkäfer-Art *Pterostichus nigrita* (Coleoptera: Carabidae). Entomologia Generalis, 6(2/4), 135-150.

Mayr, Ernst (1942). Systematics and the origin of species from the viewpoint of a zoologist. New York: Columbia University Press. ISBN 0-674-86250-3.

Mumladze, L., Cameron, R. A., & Pokryszko, B. M. (2014). Endemic land molluscs in Georgia (Caucasus): how well are they protected by existing reserves and national parks?. Journal of Molluscan Studies, 80(1), 67-73.

New, T.R., 1999. By-catch, ethics and pitfall traps. J. Insect Conserv. 3, 1-3

Newbold, T., Gilbert, F., Zalat, S., El-Gabbas, A., & Reader, T. (2009). Climate-based models of spatial patterns of species richness in Egypt's butterfly and mammal fauna. *Journal of Biogeography*, 36(11), 2085-2095.

Nikkhah, R. 2012. 'Damien Hirst Condemned For Killing 9,000 Butterflies In Tate Show'. Telegraph.co.uk. 5/03/ 2015. <http://www.telegraph.co.uk/culture/culturenews/9606498/Damien-Hirst-condemned-for-killing-9000-butterflies-in-Tate-show.html>

Pearman, P. B., & Weber, D. (2007). Common species determine richness patterns in biodiversity indicator taxa. *Biological Conservation*, 138(1), 109-119.

Prendergast, J. R., Quinn, R. M., Lawton, J. H., Eversham, B. C., & Gibbons, D. W. (1993). Rare species, the coincidence of diversity hotspots and conservation strategies.


Rull, V. (2010). On microrefugia and cryptic refugia. *Journal of Biogeography*, 37(8), 1623-1625.

Scott, J. M., Davis, F. W., McGhie, R. G., Wright, R. G., Groves, C., & Estes, J. (2001). Nature reserves: Do they capture the full range of America's biological diversity?. *Ecological Applications*, 11(4), 999-1007.


Spence, J. R., & Niemelä, J. K. (1994). Sampling carabid assemblages with pitfall traps: the madness and the method. *The Canadian Entomologist*, 126(3), 881-894.

Worner, S. P. (2008). Bioclimatic models in entomology. In *Encyclopedia of Entomology* (pp. 476-481). Springer Netherlands.

დანართები




სურათი 39. ფორმიკა ცინერეას (*Formica cinerea*) რეგისტრაციის წერტილები საქართველოში.
სურათი აღებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზიდან:
<http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Formica%20cinerea>, წვდომის თარიღი: 18.06.2013)



სურათი 40. მწვანე გომბეშოს (*Bufo viridis*) რეგისტრაციის წერტილები GBIF-ის მონაცემთა ბაზაში. (სურათი აღებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზიდან: <http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Bufo%20viridis>, წვდომის თარიღი: 18.06.2013)

Culex mimeticus is recorded at 5 localities:

Gardabani, Akhaltsikhe, Sagarejo, Lagodekhi, Mtskheta,



სურათი 41. *Culex mimeticus* რეგისტრაციის წერტილები საქართველოში. (სურათი აღებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზიდან: <http://biodiversity-georgia.net/index.php?taxon=Culex%20mimeticus>, წვდომის თარიღი: 18.06.2013)

მწერები

- Phassus shamil*- კავკასიური წმინდადგახვიარა - EN (B2cii)
Brahmaea ledereri- კოლხური ბრამეა - RE ()
Saturnia pavonia- (*Eudia pavonia*) - ღამის მცირე ფარშევანგთვალა - VU (B2cii)
Perisomena caecigena- მერათვალებიანი ფარშევანგთვალა - VU (B2cii)
Manduca atropos- სფინქსი მკვდართავა - EN (B2cii)
Rethera komarovi- კომაროვის სფინქსი - VU (B2cii)
Deilephila nerii- ოლეანდრის სფინქსი - EN (B2cii)
Pterogon gorgoniades- ჯუჯა სფინქსი - VU (B2cii)
Pachypasa otus- კვიპაროსის მსხვილტანა - VU (B2cii)
Lemonia balcanica- ბალკანური აბრეშუმქსოვია - VU (B1a)
Callimorpha dominula- ღათუნელა ჰერა - VU (B2cii)
Axiopoena maura- მღვის ამიერკავკასიური ღათუნელა - EN (B2cii)
Parnassius apollo- აპოლონი - VU (IUCN)
Parnassius nordmanni- კავკასიური აპოლონი - EN (B1a)
Allancastria caucasica- კავკასიური ზერინთია - VU (IUCN;)
Anthocharis gruneri- გრუნერის აისი - VU (B2cii)
Anthocharis damone- ამიერკავკასიური აისი - VU (B2cii)
Erebia hewistoni- ჰევისტონის ავერდულა - VU (B2cii)
Erebia iranica- ირანული ხავერდულა - VU (B2cii)
Tomares romanovi- რომანოვის ცისფერა - VU (B2cii)
Polyommatus daphnis- ცისფერა მელეაგრი - VU (B2cii)
Apocolotois smornovi- სმირნოვის მბოგელა - VU (B2cii)
Zygaena fraxini- იფნის ჭრელურა - VU (D2)
Bombus fragrans- ველის დიდი ბაზი - VU (B2cii)
Bombus eriophorus- ბაზი ერიოფორუსი - VU (B2cii)
Bombus alpinus- ალპური ბაზი - VU (B2cii)
Bombus persicus- ირანული ბაზი - VU (B2cii)
Xylocopa violacea- იისფერი ქსილოკოპა - VU (B2cii)
Inotrichus kurnakovi- კურნაკოვის ბზუალა - CR (D2)
Inotrichus injaevae- ინჯაევას ბზუალა - CR (D2)
Omophron limbatum- (მრგვალი ბზუალა) - EN (B2cii)
Rosalia alpina- ალპური ხარაბუზა - EN (IUCN; B2cii)
Cordulegaster mzymtae- მზიმთას ნემსიყლაპია - VU (IUCN)
Onychogomphus assimilis- მსგავსი ნემსიყლაპია - VU (IUCN)
Calopteryx mingrellica- სამეგრელოს ტურფა - VU (B2a)

სურათი 42. წითელი ნუსხის სახეობის მწერები.



სურათი 43. ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში ავტორის მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი ფოტო. 1. *Gyrinus substriatus* (Gyrinidae, Coleoptera); 2. *Aquilegia caucasica*, კავკასიური წყალიკრეფია (Ranunculaceae); 3. *Phyllodromica polita* (Blattodea) მდედრი და მამრი (შავი ზედა ფრთებით); 4. *Scarites salinus* (Coleoptera, Carabidae) ჭამს ტარაკანს; 5. *Cychrus aeneus* ჭამს ლოკოკინას; 6. *Testudo graeca* - ხმელთაშუაზღვეთის კუ.

ცხრილი 9. საქართველოში რეგისტრირებული და ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი ცხოველების ძირითადი ჯგუფების სახოებების რაოდენობა.


ტაქსონი		სახეობების რაოდენობა	
ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	Eliava <i>et al.</i> 2007	ბიომრ. მონაცემთა ბაზა
Phylum Mollusca	ტიპი მოლუსკები	283	251
Phylum Arthropoda	ტიპი ფეხსახსრიანები	13252	3394
Order Orthoptera	რიგი სწორფრთიანები	184	103
Order Hemiptera	რიგი ნახევრადხეშეშფრთიანები	600	331
Order Lepidoptera	რიგი ქერცლფრთიანები	1635	709
Order Coleoptera	რიგი ხეშეშფრთიანები	4600	947
Order Hymenoptera	რიგი სიფრიფანაფრთიანები	1680	295
Order Diptera	რიგი ორფრთიანები	900	424
Phylum Chordata	ტიპი ქორდიანები	758	645
Class Reptilia	კლასი ქვეწარმავლები	54	57
Class Aves	კლასი ფრინველები	390	357
Class Mammalia	კლასი ძუძუმწოვრები	111	110
Class Amphibia	კლასი ამფიბიები	13	12

ცხრილი 10. საქართველოში რეგისტრირებული და ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი მცენარეების ძირითადი ოჯახების სახოებების რაოდენობა.

ტაქსონი		სახეობების რაოდენობა	
ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	Gagnidze, 2005	ბიომრ. მონაცემთა ბაზა
რთულყვავილოვანნი	Asteraceae (Compositae)	566	536
მარცვლოვნები	Poaceae (Gramineae)	339	338
პარკოსნები	Fabaceae (Leguminosae)	317	316
ვარდისებრნი	Rosaceae	237	238
ჯვაროსნები	Brassicaceae (Cruciferae)	186	184
შავწამალასებრნი	(Scrophulariaceae)	181	179
ქოლგოსანნი	Apiaceae (Umbelliferae)	179	178
ტუჩოსნები	Lamiaceae (Labiatae)	150	149
მიხაკისებრნი	Caryophyllaceae	166	174

ცხრილი 11. სამიებო სიტყვა რომლის მეშვეობითაც ვიზიტორები ზედებოდნენ სამიებო სისტემებიდან ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის გვერდზე. მოყვანილია 9420 სამიებო ფრაზიდან 50 ყველაზე გავრცელებული.

N	სამიებო სიტყვა	რაოდენობა (%)	N	სამიებო სიტყვა	რაოდენობა (%)
1	<i>mertensiella caucasica</i>	218(0.79%)	26	biodiversity-georgia	47(0.17%)
2	http://biodiversity-georgia.net/	193(0.70%)	27	<i>coluber ravergeri</i>	47(0.17%)
3	<i>fagus orientalis</i>	139(0.51%)	28	<i>laurocerasus officinalis</i>	46(0.17%)
4	<i>corylus avellana</i>	132(0.48%)	29	<i>coccinella semipunctata</i>	45(0.16%)
5	<i>campanula charadzeae</i>	115(0.42%)	30	<i>lumbricus sp</i>	44(0.16%)
6	<i>capra aegagrus</i>	108(0.39%)	31	<i>accipiter nisus</i>	42(0.15%)
7	<i>coleoptera</i>	93(0.34%)	32	<i>basidiomycota</i>	41(0.15%)
8	<i>helleborus caucasicus</i>	88(0.32%)	33	<i>lacerta strigata</i>	39(0.14%)
9	<i>georgian biodiversity</i>	86(0.31%)	34	<i>vipera kaznakovi</i>	39(0.14%)
10	<i>kumisi</i>	86(0.31%)	35	<i>agriotes</i>	38(0.14%)
11	<i>lacerta agilis</i>	85(0.31%)	36	<i>anisoplia leucaspis</i>	37(0.13%)
12	<i>tryops</i>	82(0.30%)	37	<i>betula litwinowii</i>	35(0.13%)
13	<i>georgia biodiversity</i>	79(0.29%)	38	<i>hemorrhoides ravergeri</i>	35(0.13%)
14	<i>cannabis sativa</i>	73(0.27%)	39	<i>peristoma boettgeri</i>	35(0.13%)
15	<i>biodiversity georgia</i>	68(0.25%)	40	<i>cerastium holosteum</i>	34(0.12%)
16	<i>georgia database biodiversity</i>	60(0.22%)	41	<i>dactylorhiza umbrosa</i>	34(0.12%)
17	<i>centaurea caucasicus</i>	59(0.21%)	42	<i>lacerta media</i>	34(0.12%)
18	<i>georgian biodiversity database</i>	59(0.21%)	43	<i>agriotes sp</i>	33(0.12%)
19	<i>biodiversity in georgia</i>	58(0.21%)	44	<i>carduelis carduelis</i>	33(0.12%)
20	<i>ხარისხირა</i>	58(0.21%)	45	<i>ranunculaceae</i>	33(0.12%)
21	<i>circus pygargus</i>	57(0.21%)	46	<i>salix excelsa</i>	33(0.12%)
22	<i>orchis coriophora</i>	57(0.21%)	47	<i>ecballium elaterium</i>	31(0.11%)
23	<i>ostracoda</i>	56(0.20%)	48	<i>gordius aquaticus</i>	31(0.11%)
24	<i>accipiter brevipes</i>	55(0.20%)	49	<i>orchis pallens</i>	31(0.11%)
25	<i>fragaria viridis</i>	48(0.17%)	50	<i>accipiter gentilis</i>	30(0.11%)



სურათი 44. ობობების ოპტიმალური კლიმატური გარემოს მოდელები: 1. *Cyrba_algerina*-ს მოდელირებული გავრცელება; 2. *Alopecosa charitonovi*-ს მოდელირებული გავრცელება; 3. *Dysderella_caspica*-ს მოდელირებული გავრცელება; 4. *Mangora_acalypha*-ს მოდელირებული გავრცელება

ცხრილი 12. *Carabus armeniacus*-ის სხეულის განაზომები, სიმაღლე ზღვის დონიდან და ჰაბიტატის კლიმატური პარამეტრები

	საკოლექციო ნომერი ²											
	წინამკერდის მინიმალური სიაგნე (Pwmin, მმ)	წინამკერდის მაქსიმალური სიაგნე (Pwmax, მმ)	წინამკერდის სიგრძე (PL, მმ)	ელიტრების სიგრძე (EL, მმ)	ელიტრების მაქსიმალური სიგანე (Ewmax, მმ)	სხეულის სრული სიგრძე (L, მმ)	წერტილის ნომერი ³	სქესი	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	წლიური ნალექები (მმ)	საშუალო წლიური ტემპერატურა (°C)	
bk427	3.03	5.07	3.59	11.6	7.02	15.2	1	მამრი	849	716	82	
bk428	3.34	5.48	4.11	12.8	7.06	16.9	1	მამრი	849	716	82	
bk433	3.96	5.78	4.35	12.9	7.93	17.3	1	მამრი	849	716	82	
bk1092	3.77	5.63	4.18	10.9	7.8	15.1	1	მამრი	849	716	82	
bk1093	3.08	5.06	3.7	12.6	7.7	16.3	1	მამრი	849	716	82	
bk1094	3.67	5.27	4.05	13.3	7.69	17.4	1	მამრი	849	716	82	
bk1095	3.71	5.42	3.7	13.1	7.68	16.8	1	მამრი	849	716	82	
bk1101	3.62	5.36	3.89	12.6	7.52	16.5	1	მამრი	849	716	82	
bk1108	3.91	5.34	3.31	11.9	7.49	15.2	1	მამრი	849	716	82	
bk1197	3.67	5.18	3.98	11.7	6.96	15.7	1	მამრი	849	716	82	
bk365	3.59	5.64	4.69	13.2	7.92	17.9	2	მამრი	1164	710	68	
bk358	4.15	6.03	4.28	13.9	8.94	18.2	2	მამრი	1164	710	68	
bk359	3.83	5.64	3.78	12.5	8.2	16.3	2	მამრი	1164	710	68	
bk360	3.78	5.88	4.26	13.1	8.1	17.4	2	მამრი	1164	710	68	
bk362	3.7	5.48	3.86	11.3	7.44	15.1	2	მამრი	1164	710	68	

² საკოლექციო ნომერი აღნიშნავს აგრარული უნივერსიტეტის ენტომოლოგიური კოლექციში დაცული ინდივიდის ნომერს

³ წერტილების კოორდინატები მოცემულია ცხრილი 7-ში.

bk365	3.58	5.85	4.74	13	8.12	17.7	2	մամրօ	1164	710	68
bk366	3.38	5.7	4.33	12.6	7.85	17	2	մամրօ	1164	710	68
bk367	3.1	5.09	3.74	12.8	7.55	16.5	2	մամրօ	1164	710	68
bk370	3.6	5.87	4.19	13	7.87	17.2	2	մամրօ	1164	710	68
bk372	3.34	5.5	3.69	12.8	7.78	16.5	2	մամրօ	1164	710	68
bk1114	3.52	5.16	3.96	11.6	7.36	15.5	3	մամրօ	1228	714	65
bk1116	3.08	5.75	3.94	12.8	8.22	16.7	3	մամրօ	1228	714	65
bk1119	3.47	5.05	4	12.2	7.43	16.2	3	մամրօ	1228	714	65
bk1120	3.57	5.55	4.12	12.6	7.8	16.8	3	մամրօ	1228	714	65
bk1121	3.15	5.27	3.82	13.3	7.54	17.1	3	մամրօ	1228	714	65
bk1124	3.74	5.36	3.92	12.3	7.32	16.3	3	մամրօ	1228	714	65
bk1125	3.36	5.49	4.23	13.8	7.88	18	3	մամրօ	1228	714	65
bk1126	3.6	5.51	4.02	13.7	8.11	17.8	3	մամրօ	1228	714	65
bk1127	3.56	6.01	4.59	13.4	8.32	18	3	մամրօ	1228	714	65
bk1128	3.35	5.3	3.8	12.8	7.13	16.6	3	մամրօ	1228	714	65
bk1600	3.74	5.43	3.8	12.6	7.68	16.4	4	մամրօ	1555	766	51
bk1601	3.79	5.42	3.69	12.1	7.91	15.8	4	մամրօ	1555	766	51
bk1602	3.92	5.6	3.96	12.7	7.88	16.6	4	մամրօ	1555	766	51
bk1603	3.91	5.37	3.84	12.4	8.01	16.2	4	մամրօ	1555	766	51
bk1604	3.83	5.69	3.58	12.8	8.11	16.4	4	մամրօ	1555	766	51
bk1605	3.68	5.02	3.58	12.4	7.37	15.9	4	մամրօ	1555	766	51
bk1606	3.98	6	3.8	13.4	8.3	17.2	4	մամրօ	1555	766	51
bk1607	3.78	5.4	3.74	12.5	7.9	16.2	4	մամրօ	1555	766	51
bk1608	3.69	5.27	4.01	12.5	7.54	16.6	4	մամրօ	1555	766	51
bk1609	4.03	5.79	3.89	13.3	8.27	17.2	4	մամրօ	1555	766	51
bk452	3.57	5.07	3.7	12	7.55	15.7	5	մամրօ	1903	824	35
bk453	2.77	4.11	2.97	9.16	6.12	12.1	5	մամրօ	1903	824	35
bk454	3.9	5.27	3.8	12.3	8.22	16.1	5	մամրօ	1903	824	35
bk455	4.23	5.84	4.42	12.2	8.24	16.6	5	մամրօ	1903	824	35
bk456	3.76	5.27	3.89	11.3	7.36	15.2	5	մամրօ	1903	824	35

bk458	3.77	5.31	3.87	12.2	7.79	16.1	5	მამრი	1903	824	35
bk459	3.73	5.38	3.92	12.2	7.37	16.2	5	მამრი	1903	824	35
bk461	3.4	4.72	3.4	11	7.11	14.4	5	მამრი	1903	824	35
bk1130	3.43	4.85	3.55	11.2	6.86	14.7	5	მამრი	1903	824	35
bk1131	3.69	5.51	4.07	12.2	7.72	16.3	5	მამრი	1903	824	35
bk110	3.98	5.42	3.78	12.8	7.81	16.6	1	მდედრი	849	716	82
bk426	4.06	5.37	4.02	12.4	7.65	16.4	1	მდედრი	849	716	82
bk1091	4.28	5.69	3.75	13.4	8.93	17.1	1	მდედრი	849	716	82
bk1098	3.92	5.61	3.83	13.4	8.16	17.2	1	მდედრი	849	716	82
bk1099	4.47	5.99	4.4	13.6	8.55	18	1	მდედრი	849	716	82
bk1102	4.02	6.06	3.99	13	8.32	17	1	მდედრი	849	716	82
bk1103	3.81	5.62	3.73	13.2	7.96	16.9	1	მდედრი	849	716	82
bk1104	4.36	5.83	4.32	13.8	8.25	18.1	1	მდედრი	849	716	82
bk1107	4.1	5.39	4.04	13.5	8.17	17.5	1	მდედრი	849	716	82
bk1109	3.95	5.45	3.35	13.8	8.16	17.1	1	მდედრი	849	716	82
bk361	3.81	5.73	3.98	13.1	8.13	17	2	მდედრი	1164	710	68
bk363	3.94	5.36	4.05	12.6	8.18	16.7	2	მდედრი	1164	710	68
bk364	4.31	6.26	4.47	14.6	8.95	19.1	2	მდედრი	1164	710	68
bk368	4.49	6.31	4.07	14.3	8.81	18.4	2	მდედრი	1164	710	68
bk369	4.46	6.42	4.38	14	8.75	18.4	2	მდედრი	1164	710	68
bk371	4.12	5.97	4.11	13.7	8.68	17.8	2	მდედრი	1164	710	68
bk373	4.23	6.08	4.41	14.5	8.47	19	2	მდედრი	1164	710	68
bk374	4.32	6.3	4.36	15.1	8.83	19.4	2	მდედრი	1164	710	68
bk375	3.67	5.7	4.14	13.4	8.25	17.6	2	მდედრი	1164	710	68
bk376	4.4	5.91	4.39	12.7	8.49	17.1	2	მდედრი	1164	710	68
bk1027	4.12	6.19	4.15	14.5	8.23	18.6	3	მდედრი	1228	714	65
bk1029	3.9	5.71	4.17	13.9	8.4	18	3	მდედრი	1228	714	65
bk1030	4.1	5.58	4.19	13.6	8.4	17.8	3	მდედრი	1228	714	65
bk1031	4.35	6.51	4.35	14.1	8.46	18.5	3	მდედრი	1228	714	65
bk1046	4.29	5.94	4.49	13.6	8.28	18	3	მდედრი	1228	714	65

bk1047	4.21	5.9	4.18	14	8.48	18.1	3	მდედრი	1228	714	65
bk1048	4.32	5.9	4.25	14	8.44	18.2	3	მდედრი	1228	714	65
bk1113	4.16	5.81	4.2	12.8	8.58	17	3	მდედრი	1228	714	65
bk1122	4.19	6.03	3.83	13.4	9.13	17.2	3	მდედრი	1228	714	65
bk1129	4.37	6.11	4.07	13.9	9.02	18	3	მდედრი	1228	714	65
bk11	3.84	5.6	3.77	13.3	8.31	17.1	4	მდედრი	1555	766	51
bk451	3.91	5.43	3.84	12.7	8.27	16.5	4	მდედრი	1555	766	51
bk1807	4.09	5.93	4.2	13.1	8.61	17.3	4	მდედრი	1555	766	51
bk1808	4.33	5.96	4.44	13.3	8.03	17.7	4	მდედრი	1555	766	51
bk1809	4.4	5.85	4.19	13.6	8.72	17.8	4	მდედრი	1555	766	51
bk1810	4.23	5.64	4.16	12.6	8.1	16.8	4	მდედრი	1555	766	51
bk1812	3.9	5.34	3.74	12.6	8.03	16.4	4	მდედრი	1555	766	51
bk1813	3.85	5.25	3.59	12.3	8.1	15.9	4	მდედრი	1555	766	51
bk1814	3.73	5.1	3.72	11.8	6.9	15.6	4	მდედრი	1555	766	51
bk1818	3.86	5.51	4.07	12.8	8.2	16.9	4	მდედრი	1555	766	51
bk1610	4.23	6.01	4.09	13	8.64	17.1	5	მდედრი	1903	824	35
bk1613	3.7	5.57	3.94	12.5	7.87	16.5	5	მდედრი	1903	824	35
bk1614	3.89	5.2	4.06	12.5	8.05	16.5	5	მდედრი	1903	824	35
bk1615	4.21	6.05	4.39	14.1	8.84	18.5	5	მდედრი	1903	824	35
bk1617	4.39	5.96	4.16	13.3	8.09	17.4	5	მდედრი	1903	824	35
bk1618	3.43	5.23	3.47	13.2	7.84	16.7	5	მდედრი	1903	824	35
bk1621	3.97	5.78	4.05	13.3	8.49	17.3	5	მდედრი	1903	824	35
bk1622	4.12	6.06	4.32	13.5	8.37	17.8	5	მდედრი	1903	824	35
bk1624	4.47	5.97	4.07	13.5	8.02	17.5	5	მდედრი	1903	824	35
bk1627	4.02	5.73	3.72	13.4	8.07	17.1	5	მდედრი	1903	824	35